სახალხო ფურცელი

№ 824 სამშაბათი, 21 მარტი 1917 წ. № 824

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში“ პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. ящ. 190.

ტელეფონი 12—23

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი
სახალხო ფურცელი
ქვირეული სურათებიანი დამატებით
ღირს:

ერთი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 3 მ. 75 კ.

ხელის მოწერის ფასის გადახდა შეიძლება **ნაწილნაწილადაც:** ხელის მოწერის დროს 7 მანეთი, პირველ აპრილისთვის 4 მ. და პირველ აგვისტოსთვის 4 მ.

1 მარტიდან წლის დამლევამდე ღირს 13 მან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

მისამართის გამოცვლა ღირს 1 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება—სასახლის ქუჩა, № 6, შესასვლელი ეზოდან.

საფოსტო მისამართი: Тифлисъ, Ред. „Сахалхо Пурцели“, почтов. ящикъ 190.

ქართველ ებრაელების საზოგადოება აუწყებს ყველა ერების გულ შემატკივარ წარმომადგენლებს, რომ ვერაგულად მოკლულ

ეფრემ როკეტაშვილის

დასაფლავება მოხდება 21 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, მიცვალებულს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან იერუსალიმის ქუჩაზე, ვინმე ტუპიკი, ებრაელების ახალ სალოცავში. 350

სამშაბათს 21 მარტს ხორვის წმინდა გიორგის ეკლესიაში დაბა [illegible], სასაფლაოზე, იქნება გადახდილი ნახევარი წლის შესრულების გამო წირვა და პანაშვიდი განსვენებულის ძვირფასის

მაქსიმე პანჩკორიასი

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებთ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ქვრივი ნინო გიორგის ასული, შვილი ნატალია მაქსიმეს ასული და სიძე კონსტანტინე ალექსის ძე შენგელაია შვილებითურთ. წირვა დაიწყება 9 საათზე და პანაშვიდი 12 საათზე 344.

ახალი დიდი **ცირკი** ახალი დიდი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი, ახლად შეკეთებ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19.00

დღეს 21 მარტს, გაიმართება

სპორტ-ატლეტიური წარმოდგენა.

მონაწილეობას მიიღებს ხუთი კლიკეტი და მთელი დასი. დღეს პირველად გამოვა ტფილისში განთქმული მსოფლიო ფალავანდი **ა. ბოგატირევი** ორ ავტომობილის ქვეშ 20 მგზავრით. მე-19 დღე ფრანგული ჭიდაობისა. დღეს ჭიდაობს 5 წყვილი. 1. გადამწყვეტი ჭიდაობა, ერმაკოვი-ბაშიპა. 2. ჯაქსონი და ემილ იანოვი. 3. სმირნოვი და ვიალოვი. 4. ყარაზამუკოვი და ედელმანი. 5. ბოგატირიოვი და შევალიე.

სპორტსმენი **ლ. რომანოვი.**

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები

სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“; **ნ. დუბროვსკის**—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“; **ექ. თაყაიშვილი**—„ხელთნაწერების მიმოხილვა“; **ი. მეუნარგიას**—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“; **გრ. რობაქიძის**—„ნიკო ბარათაშვილი“; **დ. უზნაძის**—„პოეტის სული“.

გარდა ამისა თითოეულს ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიული ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტის სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

სარედაქციო კომისიაში მონაწილეობას იღებენ: კ. აბაშიძე, ი. გრიშაშვილი, ი. გედევანიშვილი, გრ. დიასამიძე, გ. ვეზირიშვილი, ნ. ერისთავი, გ. ლახიშვილი, ი. ნიკოლაძე, გ. ქურული, დ. შევარდნაძე, ს. ფირცხალავა.

წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

წიგნი გამოვა 1917 წლის აპრილში

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში და „სახალხო ფურცლის“ კანტორაში, **ქუთაისში** ის. კვიცარიძესთან, იას. ბაქრაძესთან, პ. ყიფიანთან, **ბათომში** სიმ. მდივანთან და კოტე კოზახიძესთან, **ფოთში** ლ. ჯაფარიძესთან და ალ. მდივანთან, **სამტრედიაში** ის. სტურუასთან, **ხონში** მოს. ჭელიძესთან, **სოხუმში** პლ. გელოვანთან, **ოზურგეთში** ალ. მხეიძესთან, **ჭიათურაში** თ. ჯაფარიძესთან. **საჩხერეში** ანეტა იურკევიჩთან, **ზუგდიდში** მიხ. მდივანთან, **თელავში** ივ. პაატაშვილთან, **ბაქოში** ილია აგლაძესთან, **გორში** სიმონ მაჭავარიანთან.

ფოსტით გამოწერა შეიძლება ამ ადრესით: ტფილისი „სახალხო ფურცელი“. 1419

კომიტეტი
ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარისკაცებს, ოფიცრებს, სამხ- ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერონ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია.

კომიტეტის ბინა მოთავსებულია ქართულ თეატრის შენობაში (სასახლის ქუჩა). იქვე მიიღება ცნობები, საღამოს 7 საათიდან 10-დე.

კომიტეტი ქ. ს. კ.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა).

სამშაბათს, 21 მარტს, 1917 წელს.

რუს არტისტთა მიერ გაიმართება

ოპერეტი

3 მოქმ.

გ. ბაურეკის ხელმძღვანელობით.

ოპერეტაზე შესვლა უფასოა.

დასაწყისი საღამოს 9 საათ. სტუმრები საზოგადო წესით.

ტფილისი, 21 მარტი, 1917 წ.

რევოლიუცია, როგორც შემოქმედება.

როდესაც ჩვენ დღევანდელ მომენტში წინ წამოვაყენეთ ეროვნული საკითხი და გადაჭრით მოვითხოვთ იმის გადაწყვეტას, მოვითხოვთ საქართველოს თავისუფლებას, გვეუბნებიან, რომ ეს ამ ჟამად უდროოა; ჯერ უნდა რევოლიუციამ გაიმარჯვოს, რევოლიუცია დამთავრდეს, საერთო მტერი—ძველი წესწყობილება—სამუდამოდ დაიმარხოს და მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი ერების შელახულ უფლებათა აღდგენაზეო. ვინც ეხლა ეროვნულ თავისუფლების განხორციელებას მოითხოვს, იგი რევოლიუციას ასუსტებს და ახალის დამყარებას ეწინააღმდეგებაო.

ასეთი საყვედური, ასეთი შეხედულობა სრული გაუგებრობის მომასწავებელია და, ვინც ასე ჰფიქრობს, კარგად არ გაუთვალისწინებია, თუ რა არის არსებითად რევოლიუცია. დიდად სცდება, ვისაც ჰგონია, რომ რევოლიუცია მხოლოდ ნგრევაა, ძველის დარღვევა, ბრძოლა თვითმპყრობელობისა დ ძალმომრეობის ნაშთების დ სხვა და სხვა ბნელ ძალების წინააღმდეგ. რევოლიუცია ყოვლის უწინარეს შემოქმედებაა, ახალის შექმნა, ახალი ფორმების, ახალი საფუძვლების დამყარება. ცრუ რევოლიუციონერი იქნებოდა, ვინც მარტო დაანგრევდა, იბრძოლებდა და არაფერს გააკეთებდა ახალის შესაქმნელად. დღეს თუ რუსეთის რევოლიუციამ დაამსხვრია და ამსხვრევს ფეოდალურ-ბიუროკრატულ წესწყობილებას, თუ იგი ირაზმება მტრების ასალაგმავად, ამავე დროს გაცილებით მეტის ენერგიით მუშაობს იმისთვის, მეტს ძალას და დროს ანდომებს იმას, რომ დაამკვიდროს ახალი წესწყობილება, აგებული თავისუფლებასა და თანასწორობაზე. რევოლიუცია არღვევს ძველ სახელმწიფოს და აშენებს ახალს. ეს შენება ახლისა ხდება ეხლავე, თვითონ რევოლიუციის პროცესში და, ერთს წუთსაც რომ შეაჩეროს დროებითმა მთავრობამ ეს შემოქმედებითი მოღვაწეობა, იმისი საქმე საბოლოოდ წაგებული იქნებოდა.

მაშასადამე, თუ რევოლიუცია შექმნის, ახალის წარმოშობის პროცესია, ჩვენი პირდაპირი რევოლიუციონური მოვალეობაა გამოვარკვიოთ ახლავე, თავიდანვე რუსეთის სახელმწიფოებრივი მართველობის საფუძვლები. უნდა ვსთქვათ მოურიდებლად, რომ ახალი რუსეთის სიმტკიცე და სიძლიერე აუცილებლად მოითხოვს, რომ რუსეთის რესპუბლიკა უნდა მოეწყოს ფედერატიულად და ყოველს, რუსეთში მცხოვრებს, ერს უნდა მიეცეს თავისუფლება ეროვნული თვით-არსებობისა ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის თუ სხვა სახით. ამავე მოსაზრებით ქართველს ერს სრული ნება აქვს, ეხლავე დაუყონებლივ გამოაცხადოს საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა, რომ ეს ავტონომია შეედუღოს და შეეთვისოს ახალს წესწყობილების დღესვე შემოქმედების პროცესში.

განა უაზრობა არ იქნებოდა, მაშინ ვილაპარაკოთ ჩვენს ეროვნულ მოთხოვნილებაზე, როცა სახელმწიფოს სახე საბოლოოდ გამოირკვევა და შემუშავდება და არა ახლა, როცა მხოლოდ ირკვევა და მუშავდება!

არა. ეროვნული საკითხი სწორედ რომ სადღეისო, მორიგი საქმეა რევოლიუციისა. ეხლავე უნდა შევუდგეთ ამის მოწესრიგებას, თუ მართლა გვწადია რევოლიუციის გამარჯვება. ეხლავე უნდა ჩამოაყალიბოს ყოველმა ერმა თავისი ეროვნული მოთხოვნილება კონკრეტიულს გარკვეულს ფორმაში. ეხლავე უნდა გავარკვიოთ ქართველები, თუ რა მიგვაჩნია აუცილებელ საჭიროებად ქართველი ხალხის არსებობისა და განვითარებისათვის და მივსცეთ ჩვენს მოთხოვნას ნათელი გეგმის, დებულების, სტატუტის სახე.

ეს რევოლიუციის ნამდვილი სამსახური იქნება. ეს იქნება შექმნა ახალის რუსეთისა, ძლიერის თავის შინაურის აგებულობით. ეს მოუპოვებს გამარჯვებას დღევანდელს რევოლიუციას.

საქართველოს რაინდი

ოთხი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მიწას მივაბარეთ არჩილ ჯორჯაძე. ქართველ მშრომელ ხალხსა და საქართველოს ხელიდან გამოეცალა ის თავგანწირული ბელადი, ვისი გმირული ხმა, სისხლისა და ცრემლის ემბაზში ამოვლებული სიტყვა სამოქმედოთ გვიტაცებდა, აღფრთოვანებას გვანიჭებდა და გვისახავდა დიად იდეალს—საქართველოსა და იმის მაშვრალ ერის განთავისუფლებას.

როცა იგი საბრძოლველ საყვირს უკრავდა, როცა იმისი მძლე მკლავი ერის ბრძოლისა და შვების ზარს აგუგუნებდა, მაშინ სულის შემხუთავი, თვისის საშინელებით თავზარდამცემი რეაქცია მძვინვარებდა. მაშინ ნისლი იყო და ბურუსი განუჭვრეტელი, უსასოობა და გულგატეხილობა სუფევდა ადამიანთა გულში. არჩილი არ უშინდებოდა რეაქციას, არ ეკრძალვოდა ერის სასოწარკვეთასა და ისეთისავე ენტუზიაზმით, ისეთივე აღტყინებით მოუწოდებდა საქართველოს მშრომელ ხალხს საბედისწერო ზეიმისათვის, როგორც 1905 წლის სარევოლიუციო ქარტეხილში. განვლილ რევოლიუციის დროს ძალუმად გადმონასროლი ლოზუნგი, მაღლა აფრიალებული დროშა, რომლის სიდიადე თავდადებულ მებრძოლთა სისხლით უფრო განმტკიცდა, არჩილმა უშიშრად და წარბშეუხრელად რეაქციის ბნელ სამეფოშიაც გადმოიტანა. თვალის მომჭრელი წითელი ელვარება იმა დროშისა, ჩვენს სულსა და გულს ბრძოლის სურვილით ავსებდა. და როდესაც საჭირო შეიქნა უფრო მკვეთრი სიტყვა, უფრო იმედის აღმძვრელი ხმა, არჩილი,—ეს უებარი რაინდი საქართველოისა—ხელიდან გამოგვტაცა სიკვდილმა. გულზე ხელები დაკრეფილი ჰქონდა იმ მებრძოლს, ვისაც ხელთ უნდა სჭეროდა ფოლადის კვერი ქართველ მუშისა და გლეხის ეროვნულ და სოციალურ ბორკილების დასამსხვრევად. თვალები დახუჭა იმ ფალავანს, ვისგანაც უნდა გვესესხნა ნაპერწკლის მფრქვევი ღვთიური ცეცხლი, გამარჯვების კოცონის დასანთებად. დავიტირეთ ჩვენ არჩილი მაშინ, როცა მზად ვიყავით იმისი სიტყვა გვესმინა და გავყოლოდით გზას მისგან ტანჯვითა და გვემით გაწალდულს.

მას შემდეგ დიდი ამბები მოხდა ქვეყნად: ელვის სისწრაფითა და ქარიშხალისებურ ძლიერებით ქართველ ერს თავს დაატყდა მსოფლიოს განმანადგურებელი ომი. საქართველო უბელადოდ იყო, არ იცოდა რა ექნა და იმისი შვილნი განუკითხველად ბრძოლის ველზე საუკუნო განსვენებას ჰპოვებდნენ. როგორა გვწყუროდა, არჩილის ხმა მოგვესმინა! იგი გამოჰნახავდა ქართველ მშრომელ მასისათვის იმ მიზანს, რომლისათვისაც სიკვდილს ბრძოლის ველზე არად მიიჩნევდა საქართველოს შვილი. ეს ხმა არ მოისმოდა. და როცა შორეულ ქვეყნების ველმინდორზე უხვად იღვროდა ქართველ საამაყო არწივთა ძვირფასი სიტყვა, ჩვენ აქ სახლში ხელისუფალთაგან გვესმოდა მხოლოდ და მხოლოდ გესლიანი დაცინვა, ცილი და კილვა, თავხედური აბუჩად აგდება ჩვენი ეროვნული სიამაყისა, ჩვენი კაცურ კაცობისა. ზეიმი ჰქონდა ავსულთა ბოროტებას!

როგორის მოუკვლელის წყურვილით გვინდოდა გაგვეგო არჩილის გაბედული ხმა, მრისხანებით აღსავსე შეტევა მტარვალთა და უგვანოთა მიმართ. არჩილი მოსძებნიდა ისეთ სიტყვას, რომელიც მტერს შეაკრთობდა და ჩვენ კი აღგვიდგენდა შელახულ თავმოყვარეობას.

ასეთი სიტყვა არსაიდან გვესმოდა. ომის სისხლის ზღვაში იშვა დღევანდელი დიდი რევოლიუცია. ტანჯული ხალხის გულში დაგუბებული რისხვა და წყრომა ნაპირს გადასცდა და თვისი მდინარებით ერთიანად წალეკა ხავსი, ბალღამი. საუკუნოდ დაემხო ძველი წყობილება. წყევლა და შეჩვენება გაატანა მაშვრალმა ამ ძველს. ნათელის ღიმითა და იმედის ალერსით შეჰხედა ამომავალ თავისუფლების ბრწყინვალე მზეს.

ქართველი ერიც სიხარულითა და იმედით ჩაება რევოლიუციის საზეიმო ფერხულში და რუსეთის სხვა ეროვნებასთან ერთად ძლევის დროშას წააწერა: თავისუფალი ავტონომიური საქართველო. ეს ხომ არჩილის სიტყვებია, ეს ხომ არჩილმა შეგვასწავლა. ნეტავი კი დღესაც გვსმენოდა არჩილის სიხარულის საგალობელი! ნეტავი კი, ჩვენ შორის ტრიალებდეს არჩილიც, ეს საქართველოს უჩვეულო რაინდი. არჩილი ამ დიადს ჟამს შესძლებდა ყოველი ქართველისათვის ჩაენერგა გულში, რომ დღეს, ამ ბრწყინვალე მომენტს საქართველო რუსეთისა და სხვა ეროვნებათა რევოლიუციონურ პროლეტარიატისა და გლეხობის წინაშე უნდა წარსდგეს თვისი პოლიტიკური იდეალით. მაშინ ვერავინ გაჰბედავდა წასულიყო ამ კეთილშობილისა და საარსებო იდეალის წინააღმდეგ.

ჩვენდა საუბედუროდ არჩილი ჩვენში გამოკლებულია. იმისი წმინდა ხსოვნა, იმისი მოწამებრივი სიცოცხლე და სიკვდილი, ქართველ მშრომელ ხალხს გარდუვალ ბრძანებით ავალებს, ყველგან, ყოველთვის უშიშრად მოითხოვოს და, თუ საჭირო შეიქნა, იბრძოლოს კიდეც, რომ საქართველოსთვის ფუჭად არ ჩაიაროს ამ დიადმა რევოლიუციამ. ქართველმა მუშამ და გლეხმა ხმა მაღლა უნდა შეჰყვიროს: გაუმარჯოს რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს ერთა თანასწორობას, საქართველოს ავტონომიას!

დღეს კი ქართველმა დემოკრატიამ მოწიწებით უნდა გაიხსენოს საქართველოს ავტონომიისთვის ნაწამები არჩილი, საქართველოს რაინდი.

დიდება იმის სახელს!

მ. საყვარელიძე.

სალამი თქვენდა

რევოლიუციის ცეცხლი გიზგიზებს! იწვის ჯალათის ტახტი. იმსხვრევა კერპები, რომელთაც მილიონობით შეიწირეს ჩჩვილი და უმანკო, მოხუცი და ახალგაზდა, რუსი და ქართველი, სომეხი და თურქი, პოლონელი და უკრაინელი!

გაწყდა ბორკილები, დაილეწა ხუნდები, გაიღო ჯურღმულთა და საკანთა კარები და ადამიანმა, მოქალაქემ თავისუფლად ამოისუნთქა, გაშალა მკლავები და სავსე გულით დასტკბა სიცოცხლის სიმშვენიერით!

უზარმაზარ რუსეთის კიდით-კიდემდე გაისმის რევოლიუციის ძლიერი ხმა, აზვირთებული ხალხი ერთს ჰიმნს გალობს: „გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს თანასწორობას“, და სანეტარო საგალობელს ბანს აძლევს ჩვენი ლამაზი ქვეყნის მოხუცი ბუმბერაზი მყინვარი, რომლის თეთრად მოსილს მწვერვალს ოქროს სხივები ალერსით ეთამაშებიან. ამას შეჰხარის ჩვენი მტკვარი, რომელიც მოწამეა ესოდენის უსამართლობის და სისხლის ღვრისა, მაგრამ დღეს ერის აღდგენის იმედით გულგახსნილი მიდუდუნებს. ამას მიესალმება ჩვენი შავი ზღვა, ტალღებს აქაფებს გახარებული და კრძალვით უნანავებს ახლად შობილს რევოლიუციას.

მზე ამოდის, თენდება ახალი დღე რევოლიუციის წიაღში იბადება თავისუფალი მოქალაქე, თავისუფალი ხალხი, თავისუფალი ერი. იბადება ქართველი ერიც. იჭედება ტახტი იმის თავისუფლებისა, შენდება ტაძარი იმისი დიდებისა და ახლოვდება ჟამი, როდესაც შარავანდედი შეამკობს განაწამების, გვემულის და ჩაწიხლულის ერის შუბლს.

თავისუფალი რუსეთი! თავისუფალი საქართველო! რუსეთის რევოლიუცია, საქართველოს რევოლიუცია ერთი მეორეს მოითხოვს, ერთი მეორეს შეავსებს. ჩვენს წინ მხოლოდ განთავისუფლებული ერია, თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში.

ინგრევა ძველი სამეფო, სამეფო მონობისა და ჩაგვრის და იმის ნანგრევებზე უნდა აღმოცენდეს ახალი, ყველასათვის თანასწორი, ყველასათვის თავისუფლების მიმნიჭებელი. ამ საყოველთაო აღდგენის დროს გულში ჩავინერგოთ ღრმად და მტკიცედ, რომ საქართველო კავკასიის ნაწილია, რომ ჩვენს მეზობლად სხვა ერები ცხოვრობენ. ჩვენი ბედი მათ ბედზეა გადაჭედილი. ჩვენი და მათი ჭირი და ლხინიც ერთ მეორეს ეზიარება. ჩვენი თავისუფლება იმათ თავისუფლებას ეთვისება, ჩვენი ცხოვრება იმათ ცხოვრებას ენათესავება. გვერდში ამოვუდგეთ ერთმანეთს, ხელი ხელს მივსცეთ, ერთად ძმურად ვიბრძოლოთ რუსეთის ფედერალურ რესპუბლიკისთვის; შეთანხმებულად დავიბრუნოთ უფლება ეროვნულ არსებობისა და განვითარებისა.

ქართველი ერის სულიერ საგანძურს ყოველთვის ამშვენებდა პატივისცემა სხვა ერებისადმი. დეე, ამშვენებდენ განსაკუთრებით დღეს.

კავკასიის ერებო, ჩვენო განუყრელო მეზობლებო, მხურვალე სალამი თქვენდა! გაუმარჯოს ჩვენს ერთობას!

რევოლიუციის დღეები

ჯარი და სათათბირო.

პეტროგრადი, 17 მარტი. სათათბიროში მივიდა თავის აფიცრებით პეტროგრადის პოლკი. დროშებზე ყველას ეწერა: „ომი თავისუფლებამ-

დე", „ჯარის კაცნო თხრილებისაკენ", „მუშებო დაზგებისაკენ", „სრულიად ვენდობით დროებით მთავრობას".

ჯარს სიტყვებით მიმართეს პოლკოვნიკმა კრენკომ, პერიშკევიჩმა, ჩხეიძემ და ჩხენკელმა. ყველანი დისციპლინისაკენ მოუწოდებდნენ. ილაპარაკეს აგრეთვე როძიანკომ და რამიშვილმა. ორთავეს ჯარი აღტაცებით მიეგება. ბოლოს დაასკვნეს—ომი ბოლომდეო.

დრ. მთავრობის მოქმედება.

პეტროგრადი, 17 მარტი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) მოსპოს სიკვდილით დასჯა. 2) ყველა იმ დანაშაულობისათვის, რისთვისაც სიკვდილით დასჯა იყო წინად, ამიერიდან სიკვდილით დასჯის მაგიერად მიესაჯებათ უვადო ან ვადიანი კატორღა. 3) ამ განკარგულებას ძალა აქვს იმ დადგენილებათათვისაც, რომელიც ჯერ სისრულეში არ მოუყვანიათ.

ხელს აწერენ: მინისტრ-პრეზიდენტი თ-დი ლვოვი, პ. მილიუკოვი, ა. შინგარიოვი, ნ. ნეკრასოვი, ა. კონოვალოვი, ა. მანუილოვი, გ. ლვოვი, ვ. ტერეშჩენკო, ი. გოდნევი და იუსტიციის მინისტრი ა. კერენსკი.

გერმანელები და რუსეთის რევოლიუცია.

პეტროგრადი, 17 მარტი. რეიხსტაგში პირველად მთელი ომის განმავლობაში სოციალისტებმა ბიუჯეტის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ბერნშტეინმა და სოციალისტმა ნოსკემ რუსეთის რევოლუციის თაობაზე ილაპარაკეს. მათ აღნიშნეს, რომ სრულიად არა აქვს გერმანიას მიზნად რუსეთის აბსოლიუტიზმის აღდგენაო.

რამიშვილი.

პეტროგრადი. თავრიდის სასახლეში მიიღეს პირველ სათათბიროს წევრად ნამყოფი რამიშვილი.

მარია პავლოვნას დაპატიმრება.

პეტროგრადი, 18 მარტი. დიდ მთავარ მარია პავლოვნას დაპატიმრების გამო „ვეჩერნეე ვრემია" სწერს: დროებითმა მთავრობამ აღმოაჩინა, რომ ახალი წესწყობილების წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებდნენ და თვალდეფშიხლად იყო. მან იცოდა, რომ ჯერ კიდევ ნიკოლოზის მეფობის დროს მარია პავლოვნა კავკასიის ყოფილ მეფის ნაცვალს ურჩევდა—ისარგებლე ეგზშნი მთავარსარდლობა, მეფედ გამოაცხადე თავიო. გენერალი ჩებიკინი, როგორც კი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე უმაღლეს მთავარ-სარდლად დანიშნეს, მაშინვე წამოვიდა მარია პავლოვნას და ბორის ვლადიმერის ძესთან განსაკუთრებული წერილებით. მარია პავლოვნასა და ბორის ვლადიმერის ძის საქმეს იძიებენ სამოქალაქო და სამხედრო გამომძიებელნი.

ამბოხება.

პეტროგრადი, პეტროგრადის საკომენდანტოში ჩამწყვდეულნი ძარცვა-გლეჯისა, ცეცხლის წაკიდებისა და ლოთობისათვის დაპატიმრებულნი—აჯანყდნენ, თავს დაესხნენ დარაჯს და იარაღის წართმევას უპირებდნენ. პრეობრაჟენსკელების ნახევარ როტამ, ვოლინელებმა და საპიორთა როტამ არეულობა თავშივე მოსპო. არავინ დაშავებულა.

დაპატიმრებული ბობოლები.

პეტროგრადი. „ბირჟევია ვედომოსტი" იტყობინება: ცარსკოე სელოში დაპატიმრებული მეფე და იმისი მახლობლები ამ მოკლე ხანში პეტრე-პავლეს ციხეში იქნებიან გადაყვანილი. მეფესა და იმის ცოლს სხვებისაგან სრულიად განცალკევებულად აცხოვრებენ სასახლის დარაჯებს დარიგება აქვთ მიცემული: მათ დღეში სამჯერ უნდა ნახონ, დაპატიმრებულნი ნამდვილად სასახლეში არიან თუ არა. მეფე და იმისი მეუღლე განსაზღრულ საათებზე უნდა ეჩვენონ დარაჯებს, საღამოსა და დილით კი სასახლეს დაათვალიერებენ თვით კომენდანტები, რათა დარწმუნდნენ, რომ ტყვეები ნამდვილად იქ არიან.

სოციალ-დემოკრატების კონფერენცია.

მოსკოვი, 17 მარტი. დღეს მოხდა სოციალ-დემოკრატ მეუმცირესეების კონფერენცია. მიიღეს რეზოლუცია: რევოლუციის დაპყრობილ პოზიციების შესანარჩუნებლად ბურჟუაზიის ყოველგვარ მოძრაობას მხარს დავუჭერთ და მთავრობას დავეხმარებით დამფუძნებელ კრების მოწვევაში დასახულ პროგრამის განსახორციელებლად.

სისხლის სამართალში მიცემულ პირთა მანიფესტი.

პეტროგრადი, 17 მარტი. დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც სისხლის სამართლის კანონით არიან დასჯილნი.

1) ამ მანიფესტის დადგენილებით ყველას, ვისაც ხსენებული მანიფესტის გამოქვეყნებამდის სიკვდილით დასჯა მოელოდა, სასჯელი 15 წლის კატორგად შეეცვლება.

2) ყველანი გაანთავისუფლონ სასამართლოს ძიებიდან, ვისაც ამ დადგენილების გამოქვეყნებამდის ისეთი დანაშაული ჩაუდენია, რომლისათვის ციხეში დაპატიმრებას გადაუწყვეტდა სამსჯავრო, რომელთაც ღირსების ახდა მოელოდათ, ან მოქალაქეობრივი უფლების შეზღუდვა, ან გამასწორებელი რაზმი (ისპრავიტელნაია არესტანსკაია). ეს დადგენილება ეხება იმ პირთაც, რომელნიც სამხედრო ბეგრის მოხდას გაჰქცევიან: თუ კი ხსენებული პირნი ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან 1917 წლის 1 მაისამდე გამოცხადდებიან.

აგრეთვე იმ პირთაც, რომელთაც ამ დადგენილების გამოქვეყნების დღემდე ისეთი დანაშაული ჩაუდენიათ, რომლისთვისაც კანონმდებლობის 2 პარაგრაფის, 1451 დებულების ძალით სამართალში მისცემდენ.

ეს დადგენილება ეხება იმათაც, ვისაც ამ მანიფესტის გამოქვეყნების დღემდის სასამართლოს მიერ მისჯილი ჰქონდა, ან ექნებოდა, კატორღა ან გამასწორებელი რაზმი, ღირსების ახდა: ასეთ პირთ სასამართლოსგან უკვე გადაწყვეტილი, ან აწ გადასაწყვეტი სასჯელი სანახევროდ შეეცვლებათ—უვადო კატორღა კი 12 წლის კატორღად.

ვილჰელმი და ნიკოლოზი



ვილჰელმი:—ნიკა, სად მოგათავსო ეხლა? საიდუმლო პოლიციის უფროსობას მოგცემ.

ამ მუხლის მოქმედება იმ გადასახლებულთ შეეხებათ, რომელთაც სამადნო ქარხნებში მუშაობა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ეხება იმ პირთაც, რომელთაც სატუსაღო განყოფილების (არესტანსკაია როტა) საპყრობილეში დატუსაღებით უნდა შესცვლოდათ, აგრეთვე იმ პირთაც, რომელნიც სხვისი პატიოსნების შეურაცმყოფელ საქციელისთვის იყვნენ დასჯილი, რომელთაც პიროვნებათა ხელით შეურაცყოფა ან ჯანმთელობის დაზიანება ბრალად ედებოდათ. სანახევროდ შეუმსუბუქდება დანაშაული იმათ, ვისაც დღემდის სამსჯავროსაგან გადაწყვეტილი სასჯელი უნდა მოეხადათ. ეს დადგენილება იმ პირთაც ეხება, ვინც გამომძიებლის ხელში იყო, ვინც სასჯელს იხდის, მაგრამ 1916 წლის 3 თებერვალს გამოცემულ დადგენილებას უნდა დაექვემდებარებოდნენ, იმ პირთაც, რომელთაც სურვილი განაცხადონ სამშობლოს დასაცავად ომში წასვლაზე, იმათ სასჯელი სრულიად აღარ მოელის, ან გადაწყვეტილი სასჯელის მოხდა არ ევალებად, თუ კი სამხედრო ბეგრის მოხდას იკისრებენ, ყოველნაირი მოქალაქეობრივი უფლებები უკლებლად მიენიჭებათ.

სამუდამოდ გადასახლებულთ, რომელთაც მუშაობის უნარი აღარ შესწევთ, დღეიდან ნება ეძლევათ იცხოვრონ მთელ იმპერიაში.

ხსენებულ ამნისტიის დებულებაში ნახსენებ ზომების განხორციელება უნდა დაევალოს ადგილობრივ სამსაჯულო ინსტიტუტებს, თუ სასჯელი ჯერ არ გადაუწყვეტიათ, შინაგან საქმეთა სამინისტროს და ადგილობრივ სამაზრო და საგუბერნიო ადმინისტრაციებს—კატორღაში და ციმბირში მყოფ პირთა შესახებ. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) გაუქმებულ იქმნას არსებულ კანონების მიერ შემოღებული გაროზგვა გადასახლებულთა, ბორკილები და „დამაშოშმანებელი პერანგები" (სმირიტელნია რუბაშკი).

ხელს აწერენ მინისტრ პრეზიდენტი თავადი ლვოვი, იუსტიციის მინისტრი ა. კერენსკი და სხვა.

ფრონტზე კარგადაა საქმე.

პეტროგრადი, 16 მარტი. მ. ვ. როძიანკომ აუწყა სახელმწიფო სათათბიროს წევრებს: ბრძოლის პირზე სამხედრო საქმეები საუცხოვოდ მიდის. უკანასკნელი ცნობები ადასტურებენ, რომ არავითარ ფრონტის დარღვევას არ ჰქონია ადგილი. გადამწყვეტი შედეგები არ ექნება ახლანდელ სამხედრო ოპერაციებს, რადგან ცუდი ამინდებია. მტერს მთელი თავისი სამხედრო ძალები რუსეთისკენ მოუმართავსო.

სტოლიპინის ძეგლის ჩამოღება.

კიევი, 18 მარტი. მრავალი რიცხვოვან კრების თანდასწრებით ჩამოღებულ იქმნა სტოლიპინის ძეგლი.

ახალი გაზეთი.

კრონშტატი, 18 მარტი. გამოვიდა „კრონშტატის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების უწყებანი".

უკრაინა ტერიტორიულ ავტონომიას თხოულობს.

კიევი, 18 მარტი. საგუბერნიო კოოპერატიულმა ყრილობამ გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს დროებით მთავრობას. ყრილობამ განაცხადა: **მხოლოდ ფედერატიული რესპუბლიკის დამყარება და უკრაინის ტერიტორიალურ ავტონომიის შემოღება უზრუნველჰყოფს ხალხის უფლებებს. ყრილობამ დაადგინა ყველა უკრაინულ შკოლებში და სხვა საზოგადო, სახელმწიფოებრივ დაწესებულებში დაუყონებლივ შემოღებულ იქმნას უკრაინული ენა.**

მუშათა კონფერენცია.

ხარკოვი, 17 მარტი. ბახმუტში მოხდა მუშათა და გლეხების დეპუტატთა კონფერენცია, რომელმაც გამოიტანა რეზოლიუცია, რითაც ნდობას უცხადებს ახალ მთავრობას. მიწის საკითხი უნდა გადასწყვიტოს დამფუძნებელმა კრებამაო; ზავის, ანექსიის და კონტრიბუციის საკითხები უნდა გადასწყვიტოს დემოკრატიის საერთაშორისო კონფერენციამ.

მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს წევრი საიდუმლო პოლიციის ყოფილი წევრი აღმოჩენილა.

ვიატკა. ვიატკის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაატუსაღა მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მერზლიაკოვი, რომელიც 1911 წლიდან საიდუმლო პოლიციის წევრად ყოფილა. მერზლიაკოვმა ერთი წლის წინად მომხდარ საგუბერნიო სასურსათო კომისიის სხდომაზე წინადადება შემოიტანა, ხელი გავუწოდოთ გერმანულ პროლეტარიატსაო. თავის დროზე ეს პროვოკატორული წინადადება უარყოფილ იქმნა და სასურსათო კომისიამ გადასწყვიტა, კრებაზე დაედგინათ საერთო ლოზუნგი: ომი გამარჯვებამდის.

ომის დღიური

უცბად გადმოსროლილი ლოზუნგი: „ძირს ომიო", მგონია საბოლოოდ გაჰქრა. არ ვიცი, რა მოსაზრებით იყო წამოყენებულთ ეს ლოზუნგი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ ლოზუნგის წინააღმდეგი მოსაზრებანი ვგონებ იმდენად საფუძვლიანი არიან, რომ ადვილად გასაგებია, რატომ მთელი ჯარი ერთსულოვნად წინააღუდგა ამ ლოზუნგს. თავი რომ დავანებოთ ვილჰელმის საფრთხეს, არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც სწორედ რევოლუციის თვალსაზრისით განსაკუთრებული ანგარიში უნდა გავუწიოთ. დღეს თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თითქმის მთელი ჯარის სულიერი განწყობილება გამოირკვა და ეს განწყობილება აშკარად რევოლიუციოსურია. ჯარის დიდი უმრავლესობა ახალი წესწყობილების მტკიცე მომხრეა. ჯარი ძლიერ და მთლიან ორგანიზაციას წარმოადგენს და ეხლა თითქმის ყველგან ჯარში დაარსდა რევოლიუციონური ორგანიზაციები და ამ ორგანიზაციებს ხელმძღვანელობენ ან პროლეტარიატის, ან და მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი პარტიები. ეს ისეთი ძალაა ამ გვარ პოლიტიკურ პარტიებისათვის, რომ სრული გარანტია გვეძლევა, რევოლუცია განსაზღვრულ გზას არ აუხვევს და ლოღიკურ დასკვნამდე მივა. „ომი ძირს"-ო—ეს ლოზუნგი არამც თუ ჯარში ერთგვარ განხეთქილებას და არეულობას გამოიწვევს, არამედ შეიძლება მთელი ჯარის დაშლა გამოიწვიოს და მაშინ პოლიტიკურ პარტიებს ხელიდან გამოეცლება დიდი და მწყობრად დალაგებული ძალა. წესიერადაც რომ მოხდეს ჯარის დემობილიზაცია, დღევანდელ პირობებში, რევოლიუციის ეხლანდელ ხანაში, ჯარის დაშლა დიდი უბედურობა იქნება. დემობილიზაციის შემდეგ დარჩენილი მუდმივი ჯარი ისეთ პირობებში იქნება ჩაყენებული, შეიძლება იმ ნაირად შეარჩიონ და დაქსაქსონ, რომ მისი სულიერი განწყობილება სრულიად შეიცვალოს.

ი. გე—გა—ლი.

ომის დეპეშები

მთავარ შტაბის ცნობები.

პეტროგრადი, 18 მარტი. მთავარ ბანაკის ცნობა. დასავლეთის ფრონტზე ილკუტსკისა და პოსტავის რაიონში, გერმანელთა უმნიშვნელო იერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ ასპარეზზე სროლა და მზვერავთა თარეშია.

რუმინიის ბრძოლის პირი. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა. ჩვენმა არტილერიამ მოხერხებულად დაუშინა გერმანელთა ზარბაზნებს, რომელნიც სცდილობდნენ გალაცთან მოახლოვებას.

კავკასიის ბრძოლის პირი. სროლა და მზვერავთა თარეშია.

მფრინავთა მოქმედება. ჩვენმა ჰაეროპლანმა სადგ. ველინსში ყუმბარები ჩააგდო. პოდგორიცის სამხრეთით მფრინავმა პრაპორშჩიკმა ვიშნიაკოვმა და არხანგელსკიმ გერმანელების საფრენი ჩამოაგდეს. ორი მფრინავი აფიცერი ტყვედ ვიგდეთ ხელთა.

გერმანია და ამერიკა.

სტოკჰოლმი, 17 მარტი. კანცლერმა რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში სთქვა: გერმანიას თავის დღეში არ ჰქონია აგრესიული მიზნები ამერიკის წინააღმდეგ. ჩვენ იძულებულნი ვიყავით თავის დასაცავად ულმობელ საზღვაო ბრძოლისათვის მიგვემართნა. კანცლერი შეეხო აგრეთვე ჩინეთს და ომს, აღნიშნა, რომ ომმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. შინაური ბრძოლა განზე უნდა გადავდოთ, ახლა ერთობაა საჭიროო, თუმცა პოლონეთის საკითხის ახლავე მოგვარება მიგვაჩნია საჭიროდაო.

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი, 17 მარტი. საღამოს ოფიციალური ცნობა. სომმას ჩრდილოეთით უაზასა და სომმასთან მტრის არტილერიამ ჩვენს მოწინავე პოზიციებს ყუმბარები დაუშინა. ჩვენც ენერგიულ

ილია ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძე

> ჯერ გათიშვა, შემდეგ შეკავშირება,
> ჯერ ანალიზი, შემდეგ სინთეზი.
>
> გიოთე.

პარალელების, ლიტერატურულ პარალელების მოყვარულთ სიმართლე ვაკუთხოთ, ორი მცნების, ორი მოვლენის, ორი ხატის, ორი პიროვნების დაპირდაპირება საუკეთესო გზაა ერთისაც და მეორის თვისების, ხასიათის სიღრმე-სიგანის გამოსარკვევ-გამოსათარგმნად. ზოგჯერ კონტრასტიული თვისებისაც რო იყვნენ ხსენებულ შეუღლებაში შემავალი მოვლენანი, პარალელი, ანალოგია უძლიერესი მეთოდია ამა თუ იმ საგნის ატრიბუტების შუქმისაფენად.

ილია ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძე—აი ორი მკლავ-მაგარი მეღროშე ჩვენი სოციალური ცხოვრებისა, ორი ძალოვანი მესაჭე ქართული აზროვნების გემისა.

* *

ერის სულიერ ძალთა განვითარების, მისი ევოლიუციის, სახეცვლის, მის წინ ლტოლვის პროცესი ერთ ხელოვნურ ხატად დამიდგება ხოლმე თვალ წინ: იგი ძლიერ მომაგონებს ლეგენდარულ გადმოცემას საქართველოს ციცაბოებზე აღმართულ წარსულის ჯანყით პირ-შესუდრულ ციხეების აშენებაზე.

ხეობაში, ვაკეში, თუ მთის ფერდობზე მდგარნი რომ ერთი-მეორეს აგურსა და ქვას რო აწვდიდენ, ერთი-მეორეს გადასცემდენ, რათა ერთის მარჯვენას მეორის მარჯვენისათვის მიეწოდებია იქ მაღლა მწვერვალამდის გამწკრივებულ მაშენებელთათვის მისაშველებელი ქვა და გუნდა.

ჩემს წარმოდგენაში თაობანი ასეწვდიან ერთი-მეორეს იდეების ქვა-აგურს, უკან მომდევნონი მათ შემდეგ მდგართ. უამისოდ ეროვნულ შენობის საძირკველს ვერ ვინ ჩაუყრის, უამასოდ სოციალური პროგრესი შეუძლებელია, რადგან, ილიას არ იყოს: სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც ჩვენია, არც დედისაა, არც მამისა, იგი—ერისაა.

მართალია, ქართველებს უაღრესად განვითარებულ სპეციფიურ ინდივიდუალიზმისკენ სჩვევიათ მუდამ ლტოლვა, მაგრამ დღეს თუ ხვალ ამგვარმა სოციალურმა მორალმა ფეხი უნდა მოიდგას ჩვენს არსებაშიაც.

ზემოთ ნახსენები ანალოგია ეროვნულ შემოქმედების შენების პროცესია, მისი შენობა ისევ იმ ციხესა ჰგავს—ზოდ-ზოდად დაწყობილ თლილ ქვათა შენობას: იქ ზევით მდგარ ოსტატთა მოვალეობაა, ვიდრე ახალ წყებას აგურებისას ზედ დააწყობდეს ჯერ უსრულ—კედელს, მის წინამორბედთაგან ნაშენს ანალიზი გაუკეთოს მის ავკარგიანობას, მის სიმკვიდრე-სიმტკიცეს მჭრელი თვალი არ ააცდინოს, რათა წინა თაობათაგან ნაშენები ნაქნარი ფუჭი საძირკველი არ გამოდგეს და მომავლის გარჯამ უქმად არ ჩაიაროს. ჩვენს წუთიერ ცხოვრებას მხოლოდ ისღა აძლევს შინაარს, რომ ჩვენი სუბიექტიური ტანჯვა თუ სიხარული, ჩვენი არსებობის მანიფესტაცია, მხოლოდ ერთი ნაწილთა ნაწილია იმ დიადი, გარეშეუწერელი თვით ამ ქვეყანასავით მცხოვან და გარდუვალ სუბსტანციისა, რომელსაც **ერის სული** ეწოდება. ჩვენი შემოქმედებითი ენერგია ერთი ნაპერწკალთაგანია რომელიც მის სამსხვერპლოზე მოგიზგიზე კოცონს მოსცილდება და სადღაც ობლად ეცემა სივრცეში, რომ ისევ გაღვივდეს, გაღიღდეს, გაფართოვდეს და მისი შუქმოსილობას თავისი მციერე ციმციმიც შერთოს, შეჰმატოს. ის მწვრთნელი თვალი კი, რომელიც ოსტატ ხელს მუდამ კომპასად წინ უნდა უძღოდეს, იგი კრიტიკა გახლავთ, მიუდგომელი კრიტიკა წინა თაობათა ნაჭირნახულევისა, მისი მიუდგომელი აწონ-დაწონვა და შეთვისება. ვგონებ არსად ისე ელამი და ჩლუნგი არ უნდა იყოს კრიტიკა როგორც ჩვენში, რადგან კრიტიკას მიუდგომლობა, ობიექტიურობა უნდა—უკანასკნელს კი გულ აუმღვრეველი აუჩქარებელი ტემპი და აზრი.

ეროვნული ისტორიაც მითაა ჩვენთვის საგულისხმო, რომ ჩვენ წინაპართა ნახტომებს ჩვენ ხაზი გავუსვათ, მათი ნაკლი ჩვენ შევავსოთ, მათ ყიჟინას ბრძოლისა და წინ სწრაფვისაკენ მხმობელს ყური ვათხოვოთ. მათი ანდერძი ყურად ვიღოთ, მათი გულის ტკივილით ჩვენც გული დაგვეკოდოს!..

მათმა მედგარმა მოძახილმა გულგატეხილები გაგვამხნევოს.

სადაც ეროვნული ცხოვრების მაჯა ნორმალურად სცემს, არსად „შესდექ" არ ითქმის, ყველგან "წინ"-ს გაჰყივიან. იქ სადაც ცხოვრების პროგრესი არ შეჩერებულა, იქ ერთი თაობა მეორე თაობაზე შუბის ტარის ოდენაზე მაინც მაღლა დგას. იქ ქვევიდან კი არ ახედავენ განვლილ თაობათა სილუეტებს ზევიდან ჩამოხედავენ ცხოვრების ასპარეზიდან ვალმოხდილად მიმავალთ...

იქ ხშირად თავის დროზე აზროვნებისა და გრძნობის მეფეთ, მეორე თაობის წარმომადგენელი მოხდის გვირგვინს, მაგრამ ძველ ქურუმების, ძველ მეფეთა გვირგვინის მოხდა ცოდოთ არავის ჩაეთვლების, რადგან იქ პირზე აკერიათ: „Le roi est mort, vive le roi"!..

პიროვნება საზომია არა მარტო მთელი მსოფლიოსი, არამედ მთელი საუკუნისა.

პიროვნება უტყუარი ბარომეტრია ამა თუ იმ საუკუნის საზოგადოების ფსიხიურ ცხოვრებისა; რამდენად ძლიერია ესა თუ ის პიროვნება, იმდენად ნათლად და მკაფიოდ გამოისახვის მასზე მთელი თანამედროვე საუკუნის ლტოლვათა, წადილთა, ვნებათა, ღელვათა და საწადელთა ასპექტები.

ასეთ ძლიერ პიროვნებათა რიცხვში ილია ჭავჭავაძის სილუეტიც ჩაითვლება, იგი მთელი საუკუნის თაობათა მთავარ სარდალია, იგი, ნ. ნიკოლაძის არ იყოს, თავის დროს რაზმიც იყო და წინამძღოლიც. მესაჭეცა და ნავში მსხდომიც.

მისი სილუეტის სიმაღლე—თანამედროვე საქართველოს სიმდაბლეზე იყო დამყარებული. მისი წარმოდგენათა ჰორიზონტის სიგრძე-სიგანე—თვალ მიუწდომელი იყო მხოლოდ თათქარიძეებისათვის. ამ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძე მე ძლიერ მომაგონებს რენესანსის დროის მწერლებს, რომელთაც ბუმბერაზობის ნიღაბი სწორედ იმიტომ შვენოდათ, რომ სოციალური ცხოვრება სადა და მარტივი იყო.

გასულ საუკუნეს დღევანდელმა ქართველებმა სწორედ „არული" უნდა მივაძახოთ. ამისთანა უკუღმართი საუკუნე მეორე თუ ყოფილა ჩვენ ისტორიულ ცხოვრებაში. საქართველო, თათქარიძეებისა, საუკუნე ჩვენი სულიერი და ფიზიკური გადაგვარებისა და გახრწნისა, ჩვენი პოლიტიკური დეპრიმაციისა და სოციალურ დეზორგანიზაციისა. სწორედ ასეთმა საუკუნემ მოგვცა ილია ჭავჭავაძე.

მაშ ნუ გიკვირთ, თუ რუსეთიდან მომავალი ახალგაზდა თავადი ეგზომ ხმა მაღალის მუქარით მოაქროლებდა რუსულ დანჯღრეულ ტროიკას საქართველოს სამხედრო გზაზე. იგი ჯერ დარიალის ხეობიდან ემუქრებოდა თათქარიძეების საქართველოს დანგრევას, ხელ ახლად გადაქმანას; ის თერგსა ჰგავდა პირზე დორბლ-მოსულს, გზაზე უსაქმოდ უძრავად, ინერტიულად მდებარე ხავს მოკიდებულ ქვებს რომ წალეკას ემუქრება შავი კლდის გულიდან გადმომსკდარი. იგი მთლათ თერგი იყო, მთალდ ახალგაზდურ ბრძოლის ჟინით აღტკინებული, კაკოს არ იყოს, გულმა გული იცნო, ილიამ თერგს უძღვნა პირველი სალამი.

სოკრატეს თავ-სამტვრევ საკითხად მიაჩნდა: ნეტავ ტიფონზე უფრო დემონიური სული ვარ, თუ საშუალო დემონიურსა და ადამიანურს შორისო?.

სოკრატესს ფილოსოფოსი იყო. სადაც ფილოსოფოსი მსჯელობით, ინდუქციონურ, ან დედუქტიურ მეთოდით არკვევს თავის რელაციას სამყაროსადმი,—იქ პოეტი ხატის, სახის საშუალებით იჭერს ანალოგიას, ინტუიციაა მისი კომპასი.

ილია პოეტი იყო, ამიტომ ჯერ კიდევ დარიალის ხეობაში წაწყდა თავის მზგავსს ხილულ ბუნების წიაღში.

ილიამ თერგი იცნო. ილია თერგივით დაეშვა ჩვენი ცხოვრების ნარეკლიან სარბიელზე. ის-ის იყო საქართველოს ტერიტორიაზე ახლად შემოდგა ფეხი 4 წლის განმავლობაში სამშობლოს განშორებულმა ყრმამ და თავის მამულის ბჭეებთან ღაღადყო თავისი აღსარება, ერთგვარი გეგმა, წინ დასახული სქემა თავისი მოქმედებისა. როგორც კი საქართველოს ედემ ბუნების ნიავის სუნთქვა მოხვდა, წამს მამულიშვილის გულზე ტკივილებმაც თავი იჩინეს. თვითონ გამომიცდია: ვგონებ ქვეყანაზე უდიდესი უბედურობა არ არსებობს პოლიტიკურ რომანტიზმით შეპყრობილ ახალგაზდათათვის, როგორც შორით მოსვლა. სამშობლოში, ისეთ სამშობლოში, სადაც, მოხევეს არ იყოს, „ერი დავარდნილ გალახულ არნ, ვრდომილ კრთომილი". ისეთ სამშობლოში, რომელიც „სხვას" გაუხდია სამშობლოდ. და, აჰა, სიტყვები გულ-დაკოდილ ახალგაზდა მამულიშვილის ცეცხლებ ანთებული სიტყვები, სიტყვები კი არა ჰამლეტისებური, „სატევრებით ლაპარაკი".

„მიეხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეკუთნოსო, სთქვი შენ და მე, გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა **ტვინიდან გულამდის ჩამირბინა**, იქ გულში გაითხრა სამარე და დაიმარხა.

როდემდის, როდემდის, ჩემო საყვარელო მიწა წყალო, როდემდის? ნახევარმა საუკუნემ გაიარა ამ სიტყვების წარმოთქმის დღიდან და ჩვენ გულში კიდევ ანთია ის დაუშრეტელი ცეცხლი, ილია ჭ—ძეს რო უწვავდა გულს, ჯერაც არავის დაუდვია იმ ტკივილისთვის მალამო: ჯერეც არ ვიცით, როდემდის უნდა ვატაროთ მკერდ ქვეშ სისხლიანის იარით მოსილი გული!

კ. აბაშისპირელი.

(შემდეგი იქნება)

წინააღმდეგობას ვუწევდით. ქვეითა ჯარის მოქმედება არა ყოფილა. სუასონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ფრანგებმა წინ წაიწიეს ბრენი-მარქიველთან. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

ლონდონი, 17 მარტი. ჩვენ დავიჭირეთ სოფ. სუანკერი, სორელ-გრანი და ფრნა. ზოგიერთ პუნქტში საარტილერიო ბრძოლაა.

ლონდონი, 17 მარტი. ლიბერალებმა, უნიონისტებმა, მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა და ირლანდიელმა ნაციონალისტებმა დაადგინეს, თემთა პალატის წევრებისგან შემდგარი საკონტროლო კომისია მოიწვიონ სახელმწიფოს ხარჯის ბიუჯეტის საკონტროლოდ.

„დეილი ნიუსი“ რეიხსტაგში მომხდარ პოლემიკის შესახებ ამბობს: გერმანია კვლავ რუსეთის სეპერატიულ ზავის ჩამოგდებასა ლამობს. მაგრამ რუსებმა კარგად იციან, რომ ეს სასიკვდილო მუქარა იქნება ჩვენთვის და რუსეთის დროებით მთავრობისათვის.

როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ერებისათვის პრუსიის ძველ გვარდიის მოსპობა აუცილებლად საჭიროა.

საფრანგეთის პალატაში.

პარიჟი, 17 მარტი. დეპუტატთა პალატაში ერთხმად მიიღეს მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა ტარდიესი. ფორმულა აღნიშნავს, რომ გერმანიის ბლოკადა დამაკმაყოფილებელი არაა და ამიტომ საფრანგეთის და მოკავშირეების მოქმედება საამისოდ შეთანხმდესო.

გემის დაღუპვა.

სტოკჰოლმი, 17 მარტი. ჰელსინჰორფსიდან იტყობინებიან: ბრესტის ახლო გერმანელთა წყალქვეშა ნავმა ჩასძირა შვეციის გემი „ნორმა“. ეკიპაჟი გადაარჩინეს.

საგანგებო დეპეშები

პეტროგრადი, 18 მარტი. „დენის“ სიტყვით, მალე გამოვა კანონი, რომელიც სამუდამოთ დაამკვიდრებს სიფხიზლეს თავისუფალ რუსეთში. აკრძალული იქნება სასმელი, რომელშიაც სპირტი იქნება $1^{1}/_{2}$ პროცენტზე მეტი.

— ყველა სასწავლებელი, სპეციალური თუ საზოგადო, გადავა განათლების სამინისტროს ხელში.

— რასპუტინის ბინის გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა მრავალი მიწერ-მოწერა უმაღლეს პირებსა და სამეფოს გვარეულობასთან.

— სუხომლინოვის საქმეს გაარჩევენ პეტროგრადის საოლქო სასამართლოში 15—20 აპრილს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

— მიტროპოლიტი შეპტიცკი 2—3 კვირას დარჩება პეტროგრადში.

— შვეციის მთავრობამ აღიარა რუსეთის დროებითი მთავრობა.

ამიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტთა წარმომადგენლების ყრილობა

18 მარტი.

სასახლის თეთრი დარბაზი გაჩირაღდნებულია. აქ უნდა გაიმართოს ამიერ-კავკასიის აღმასრულებელ კომიტეტთა წარმომადგენლების ყრილობა. საღამოს რვა საათისთვის ხალხი უკვე თავს იყრის. ამ დარბაზში, სადაც დღემდე მხლოდ უმაღლეს ადმინისტრაციისა და ბიუროკრატიის წარმომადგენლნი გროვდებოდნენ ხოლმე და ხალხის დაუკითხავად ხალხის ბედს სწყვეტდნენ, დღეს პირველად უნდა გაისმას ხმა თვით ხალხისა, რომელიც ამიერ-კავკასიის ყველა კუთხიდან ჩამოსულა.

ყრილობის გახსნა რვა საათისთვის არის დანიშნული, მაგრამ ეს ცხრა საათზე ადრე ვერ ხერხდება, რადგანაც მრავლად ჩამოსული წარმომადგენელნი იმაზე ადრე ვერ ასწრობენ საგანგებო ფურცელზე თავიანთის გვარისა და სახელის მოწერას.

ცხრა საათისთვის დარბაზში თავმოყრილია 177 წარმომადგენელი სხვა და სხვა აღმასრულებელ კომიტეტისა და 18 წარმომადგენელი პრესისა, მათ შორის სატახტო გაზეთებისა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილა და დინჯად და წყნარად მუსაიფობს. ყველას ცხადად ეტყობა, რომ უკვე გაიარა ცხარე სიტყვებისა და კამათის ხანამ და ახლა დროა მოფიქრებულის შემოქმედების მუშაობისა.

ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის კომისარიატის მინდობილობით ყრილობას ხსნის ამ კომისარიატის წევრი **ა. ი. ხატისოვი**, რომელიც სალამს უძღვნის ახალს დროებითს მთავრობას და მის წარმომადგენელს—ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომლის წევრებსაც ხარლამოვს, პაპაჯანოვს, ჯაფაროვს და კიტა აბაშიძეს დამსწრენი მხურვალე ტაშისცემით ეგებებიან.

ამის შემდეგ ა. ხატისოვი მოკლედ გადასცემს დამსწრეთ ფტ. აღმასრულებელ კომიტეტის დაარსებისა და მოქმედების ისტორიას: ძველის მთავრობის დამხობისათანავე ტფილისში აღმასრულებელი კომიტეტი დაარსდა, რომელშიაც შედიან ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა, ჯარის კაცთა და მუშათა წარმომადგენელნი. ამის შემდეგ კომიტეტმა თავის სრულ-უფლებიან წევრებად მოიწვია წარმომადგენელნი მუსულმანებისა, სარევოლიუციო პარტიებისა და კოოპერატივებისა. ახლა კომიტეტში 52 წევრია. კომიტეტმა თავიდანვე ორი ლოზუნგი აღიარა, რომელსაც დღემდე მტკიცედ ადგია. ეს იყო მტკიცედ შეკავშირება გარეშე მტერზე გასამარჯვებლად და კლასობრივისა და ეროვნულის ლოზუნგის უკუგდება და საერთო ძალღონით და გაერთიანებულის მოქმედებით წესიერების დამყარება, რაიც ასე საჭიროა დღევანდელს ისტორიულს მომენტში. ამ წესირების დასაცავად კომიტეტი უპირველესად იმ პირთა შეპყრობას შეუდგა, რომელნიც საშიშნი იყვნენ ახლად მოპოვებულ თავისუფლებისათვის. კომიტეტს აქვს კიდევ ერთი დიდი თავსამტვრევი საკითხი, სახელდობრ სასურსათო. ტფ. კომიტეტი საჭიროდ სცნობდა საინფორმაციო დეპეშების გაგზავნას კავკასიის ქალაქებში და ეს საქმეც იკისრა და თავისთავად ტფ. კომიტეტი ასრულებდა კავკასიის კომიტეტის როლს ამ საქმეში. აღსანიშნავია, რომ ყველა ქალაქში კომიტეტები დაარსდა და ყველგან წესიერება იქმნა დაცული. ზოგან, მაგალითად კახეთში, ყაჩაღად გავარდნილმა პირებმა იარაღი დაჰყარეს და ხალხს შეუერთდნენ.

ამის შემდეგ ბ-ნი ხატისოვი დამსწრეთ აცნობს ყრილობის სამუშაო გეგმას. ეს არის: 1) მნიშვნელობა და ტაქტიკა მომენტისა, 2) ცენტრალური მართველ ორგანოს შექმნა, 3) სასურსათო საკითხი, 4) სასოფლო, სამაზრო და საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტთა შექმნა და 5) მოხსენებანი სხვა და სხვა კომიტეტის წარმომადგენლებისა.

დასასრულ ხატისოვი დამსწრეთ სთხოვს, აირჩიონ კრების თავმჯდომარე.

ყრილობის თავმჯდომარეებად ირჩევენ ტფ. კომისარებს: **ნოე ჟორდანიას**, **ა. ხატისოვსა** და **პოპოვს** და მუსულმანთა წარმომადგენელს **ალი მარდან ბეგ თოფჩიბაშევს**.

პრეზიდიუმის გვერდზე ალაგს იჭერენ აგრეთვე **ამიერ-კავკასიის კომისარები:** ხარლამოვი, კ. აბაშიძე, პაპაჯანოვი და ჯაფაროვი.

ტფ. კომისარი **პოპოვი** აღნიშნავს, რომ განსახილველ საგანთა სიაში შეტანილ უნდა იქმნას საკითხი ჯარში სამეურნეო ნაწილის რიგიანად დაყენებისა და ხალხის ქონების ეკონომიით დახარჯვის შესახებ.

კრება ამ აზრს იზიარებს.

ნოე რამიშვილი საჭიროდ სთვლის, მსჯელობა მხოლოდ რუსულად არ სწარმოებდეს ყრილობაზე და ადგილობრივ ენებზედაც ითარგმნებოდეს სიტყვები.

კრება მას ეთანხმება, მხოლოდ ეს წინადადება სისრულეში მაინც არ მოჰყავთ.

დეპუტატის პაპაჯანოვის სიტყვა.

დეპუტატი პაპაჯანოვი, როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატის წევრი, დამსწრეთ მხურვალედ ულოცავს თავის ამხანაგ კომისარების სახელით და აღნიშნავს, რომ სამწუხაროდ ხარლამოვს და ჯაფაროვს პირადად არ შეუძლიათ მოლოცვა, რადგანაც თავიანთ მოქალაქობრივ მოვალეობის შესრულების დროს გაცივდნენ, მოიქანცნენ და ხმა სულ წაერთვათ. შემდეგ პაპაჯანოვი ულოცავს სახელმწიფო სათათბიროსა და ახალ მთავრობის სახელით და ამბობს: ძველი რეჟიმის დანგრევა დასრულდა, ახლა საჭიროა სწრაფი შემოქმედებითი მუშაობა; ჩვენ გვრწამს, რომ ამ მუშაობისთვის ჩვენი მხარე მომზადებულია და შესაფერი ძალები მოგვეპოვება. ეს ყველას უნდა სწამდეს. აგრეთვე უნდა იწამოს ყველამ ახალი წყობილება და ის, რომ ამ წყობილებით არავინ დარჩება ნაწყენი. მე არ მინდა შევეხო საერთო სახელმწიფოებრივს მოუწყობლობას, მაგალითად სასურსათო საკითხს და სხვას. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო კავკასიის განსაკუთრებული მდგომარეობა. ეს არის ეროვნული საკითხი, რომელიც მწვავედ იდგა დღემდე. აი ამ დარბაზში ხშირად შეკრებილან წინად ძველი რეჟიმის წარმომადგენელნი და დამშვიდების მაგიერად ერთა განცალკევებისა და გადაკიდების საჭიროებაზე ულაპარაკნიათ. მე მრწამს, რომ ის აღარ განმეორდება. მრწამს, რომ რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ამ ეროვნულ უთანხმოებასაც გაუპო გული. ახლა ყველა ერებმა შეთანხმებით უნდა ვიმუშაოთ და ერთმანეთისთვის ვიზრუნოთ (ტაში).

(დასასრული იქნება)

ყრილობამ გუშინ შუადღემდე შემდეგი რეზოლიუციები მიიღო:

1.

1) ყრილობა თავის უახლოეს პოლიტიკურ მიზნად ისახავს დროებითის სარევოლიუციო მთავრობის ხელისშეწყობას რეაქციასთან ბრძოლასა და რევოლიუციის მიყვანას დემოკრატიულ რესპუბლიკამდე,

2) ამ აზრით ყრილობა საჭიროდ სცნობს დაეხმაროს რევოლიუციონურ პროლეტარიატს, ჯარს და მცხოვრებთა სხვა წრეებს, რომელნიც ამ ძირითად პოლიტიკურ მიზნისკენ მიისწრაფიან,

3) აქედან გამომდინარეობს მომენტის ტაქტიკა: ამ ერთის მეორის საწინააღმდეგო წრეებისა და კლასების მოქმედების ერთიანობა მთლიანობის დასაცავად საჭიროა, რომ ცხოვრების აუცილებლობით გამოწვეული ეკონომიური, ეროვნული და სხვა მოთხოვნილებანი დამფუძნებელ კრებამდე გადასწყდეს ერთმანეთთან შეთანხმებისა და ურთიერთობის დათმობის ნიადაგზე. ეს მოთხოვნილებანი შემდეგია: სამუშაო დღე და ხელფასი, საბალახოებით და ტყეებით სარგებლობა, ნაციონალურ ადმინისტრატორების დანიშვნა, ეროვნულ სკოლების დაარსება და სხვა.

4) რადიკალური გადაწყვეტა მუშებისა, გლეხებისა, ეროვნებათა და საეკლესიო საკითხებისა ეკისრება დამფუძნებელ კრებას; წინასწარ საარჩევნო კომპანიის დროს პარტიები გამოდიან მთელის თავის საპროგრამო მოთხოვნილებებითა და დროშებით.

2.

1) ამიერ-კავკასიის აღმასრულებელი კომიტეტები, რომელნიც ახლა მოქმედებენ, დარჩნენ დღევანდელ სახით იმ დრომდე, ვიდრე არ შესდგებიან აღმასრულებელი კომიტეტები, არჩეულნი საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით,

2) დაევალოს აწ არსებულ კომიტეტებს, შეადგინონ სასოფლო, სარაიონო, სამაზრო და საგუბერნიო კომიტეტები საყოველთაო თანასწორის პირდაპირის და ფარულის კენჭის ყრით; მცხოვრებთ უფლება ეძლევათ თვით ამოირჩიონ საზღვრები სარაიონო კომიტეტების მოქმედებისა.

3) საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტები საგუბერნიო ქალაქებში, გარდა დაღესტნის ოლქისა, გარდაქმნილ იქმნენ, თუ ისინი შექმნილნი არ არიან ტფ. კომიტეტის მსგავსად,

4) ახალ მთავრობის წარმომადგენელთ სახელად ეწოდოს კომისარები (სასოფლო სარაიონო, სამაზრო და საგუბერნიო),

5) საგუბერნიო კომიტეტებს უფლება მიეცეთ მთელის გუბერნიის კომიტეტების ხელმძღვანელობა გაუწიონ, მათ შორის საგუბერნიო და სამაზრო ქალაქების კომიტეტებსაც, გარდა ტფილისისა და ბაქოსი, რომელთა კომპეტენცია საგუბერნიო ცენტრებს ეთანაბრება,

6) ტფილისისა და ბაქოს საქალაქო კომიტეტები დამოუკიდებელნი დარჩნენ მას შემდეგაც, როდესაც ბაქოსი და ტფილისის საგუბერნიო კომიტეტები დაარსდება,

7) აღმასრულებელი კომიტეტები კომისარების კანდიდატებს თვით ასახელებენ, ხოლო ამ თანამდებობაზე მათ ამტკიცებს ამიერ-კავკასიის კომიტეტი ახალ მთავრობისა,

8) ამიერ-კავკასიის საბჭო არსდება ამიერ-კავვასიის კომიტეტთან 38 კაცისაგან. ამ საბჭოში უნდა იყვნენ: ტფილისისა და ბაქოს საგუბერნიო კომიტეტებისაგან ოთხ-ოთხი წარმომადგენელი, დანარჩენ ექვსის გუბერნიიდან და ოლქიდან—ორ-ორი, სოხუმისა და ზაქათალის ოლქიდან—თითო, ტფილისისა და ბაქოს საქალაქო კომიტეტებისაგან—სამ-სამი და ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების ცენტრალურ საბჭოდან ხუთ-ხუთი.

ახალი ამბავი

იუსტიციის მინისტრის კერენსკისაგან კიტა აბაშიძემ შემდეგი დეპეშა მიიღო:

სალამს გიძღვნი. თ. ლვოვმა დეპეშით აცნობა ტფილისში, რომ თქვენი დელეგაციაში ყოფნა მიუცილებელია. მთავრობა აუცილებელ საჭიროებად სთვლის კავკასიის მოწესრიგებაში მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ორივე სოციალისტური მიმდინარეობის წარმომადგენლობამ. იმედი მაქვს, საერთო ძალღონით ნიადაგს შეუმზადებთ საქართველოს, რომ რაც შეიძლება მალე გადავიდეს ცხოვრების ახალ ფორმაში. კერენსკი.

✦ **ვექილთა კრება.** სამშაბათს, 21 მარტს, სად. 7 საათზე დანიშნულია ნაფიც ვექილთა და თანაშემწეთ საზოგადო კრება სასამართლოს შენობაში. განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) სასამართლოს წყობილების და მასში საქმეების წარმოების შეცვლა, 2) გუბერნიის კომისარიატთან იურიდიული ბიუროს გახსნა; 3) ამგვარივე ბიუროს გახსნა მილიციის კომისარიატთან; 4) აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ გამომძიებელ კომისიის შევსება, 5) ლექტორთა ბიუროს დაარსება და სხვა.

✦ **ჯაშუშის დიმიტრი ჯაშის შეპყრობა.** 17 მარტს ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით ტფილისში შეიპყრეს დიმიტრი ჯაში. ერთდროს იგი თავის თავს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრად აცხადებდა. 1906 წელს იგი ილია ჭავჭავაძის მოურავად დადგა და მოურავობას თავი გაანება ილიას მოკვლის შემდეგ, ე. ი. 1907 წელს. ჯაშს ამ მკვლელობაში მონაწილეობის მიღება ბრალდებოდა და კიდეც შეიპყრეს, მაგრამ გამოძიების შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს და ილიას მკვლელობის საქმის გარჩევის დროს იგი წარსდგა სასამართლოს წინაშე როგორც მოწმე და არა როგორც ბრალდებული, რის გამოც მწუხარებაც გამოსთქვა პროკურორმა. სასამართლოს თავი დააძვრინა ჯაშმა, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი დღესაც ბრალსა სდებს მას ილიას მკვლელობაში. ამიტომ იგი ჩქარა ყველამ ჩამოიშორა, თვით უახლოესმა ამხანაგებმაც კი. დაახლოვებით 1908 წელს ჯაში ტფილისის „ახრანკა“-შიც შესულა საიდუმლო თანამშრომლად (ჯაშუშად), რის საბუთიც უკვე აღმოაჩინა ტფ. აღმასრულებელმა კომიტეტმა. სახელდობრ, იპოვეს ერთი ბარათი, რომლიდანაც სჩანს, რომ ჯაშს „ახრანკიდან“ 600 მან. მიუღია სახარჯოდ. უკანასკნელ ხანს ჯაში „მოსკ. ვედომოსტში“ ბეჭდავდა წერილებს ტფ. ქალაქის თვითმართველობის წინააღმდეგ. ჯაში მეტეხის ციხეში გაგზავნეს.

✦ **ფქვილი.** როგორც ტფ. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს ატყობინებენ, ბალაჯარიდან ტფილისისაკენ გამოუგზავნიათ 100 ვაგონი ფქვილი. აქედან 70 ვაგონი ტფილისთვის არის გამზადებული, ხოლო 30 ვაგონი ტფ. გუბერნიის საჭიროებას უნდა მოხმარდეს.

✦ **ტფ. მასწავლებელთა კრებამ** 18 მარტს დაადგინა, გადაყენებულ იქმნან თანამდებობიდან: კავკასიის სამოსწავლო ოლქის თანაშემწენი, ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი და ინსპექტორები.

✦ **მეფის მოადგილის კანცელარიის პოლიტიკურ განყოფილების უფროსის შეპყრობა.** გუშინ, 20 მარტს დილით ნავთლუღის სადგურზე შეიპყრეს მეფის მოადგილის კანცელარიის საგანგებო განყოფილების უფროსი პისარსკი, რომელიც პოლიტიკურ მაძებრობას ხელმძღვანელობდა კავკასიაში. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტს პისარსკის დაპატიმრება უფრო ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ახალ მთავრობის დამკვიდრების დღიდანვე ტფილისიდან სადღაც გაჰქრა უკვალოდ და მხოლოდ გუშინ დაბრუნდა. როგორც პისარსკის მოსამსახურენი ამტკიცებენ, პისარსკი ორი დღე განუწყვეტლივ სწვავდა თავის სახლში რაღაც დოკუმენტებს.

✦ **ტფ. სასულიერო სემინარიაში** მეცადინეობა დასრულდა. კურსი დაასრულა 16 კაცმა- მათ შორის 11 ქართველმა. მოგვყავს მათი გვარები: არჩილ ათანელიშვილი, ივანე ბაძოშვილი, ავქსენტი ბოლქვაძე, მინა გამეზარდაშვილი, ვლადიმერ გავაშელიშვილი, პავლე გერმანიშვილი, ნიკოლოზ კალანდრია, ალექსანდრე კვერკველია, კაპიტონ კურაშვილი, იოსებ მამფორია, დიმიტრი ხმიადაშვილი.

✦ **ქართულმა სამხედრო კავშირმა** ქართულთა მსროლელ პოლკს და ქართველ ცხენოსანთა პოლკს შემდეგის შინაარსის დეპეშა გაუგზავნა.

„ქართველი სამხედრო კავშირი ულოცავს ძვირფას თანამემამულეთ დამხობას ძველის მთავრობისა, რომელმაც მთელი რუსეთი დაღუპა და რწმენას გამოსთქვამს, რომ ისინი მჭიდროდ შეუკავშირდებიან ქართულ სამხედრო კავშირს, რომელმაც მიზნად დაისახა რევოლიუციის დამთავრება გამარჯვებით და „ავტონომიური საქართველო“.

✦ **ტფ. მილიციამ** დიდძალი გადამალული სურსათ-სანოვაგე აღმოაჩინა.

✦ **პუშკინის ბიბლიოთეკაში** გუშინ 20 მარტს არც ერთი ტფილისური გაზეთი ერთი არ იყო. იყო მხოლოდ „თეატრი და ცხოვრება“, ისიც დაფხრეწილი. საჭიროა ამ მოვლენას ყურადღება მიექცეს.

✦ **წირვა სიონში.** კვირას ტფ. სიონის საკათედრო ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოზის მოსაყდრე ყოვლად უსამღვდელოესი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე, თანამწირველი ბრძანდებოდა ყ-დ უსამღვდელოესი გორის ეპისკოპოსი ანტონი, არქიმანდრიტები, დეკანოზები და დანარჩენი სამღვდელო პირნი. მღვდელ-მთავრის შეგებებაზე და მომეტებულ წირვის წესს გალობდა ტფ. ქართ. ფილარმონიული საზოგადოების გუნდი ზ. ჩხიკვაძის ლოტბარობით, შემდეგ მიემატა მათ კიდევ ორი გუნდი: ტფ. ქალთა ეპარქიალურ სასწავლებლის მოწაფეთა გუნდი და ჩარკვიანისა. წირვას აურაცხელი ხალხი დაესწრო.

✦ **ამიერ-კავკასიის კომისარი აკაკი ჩხენკელი** 20 მარტს ტფილისისკენ გამომგზავრებულა.

✦ **ქართველი ებრაელის ეფრემ როკეტაშვილის მკვლელობა.** ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი ცნობა იმ საზიზღარი მკვლელობის შესახებ, რომელიც მოხდა 15 მარტს. ქართველ ებრაელთა საზოგადოება აღშფოთებულია საშინელი მკვლელობით, ვერ აუხსნია, თუ რამ გამოიწვია ასეთი ძნელი საქმე. ზიზღს უცხადებენ მკვლელს და იმედს გამოსთქვამენ, რომ მკვლელი წარსდგება სამჯავროს წინაშე. ებრაელებს გადაუწყვეტიათ პატივისცენ რაკეტაშვილის სახლს და მთელი კრებულით დაესწრონ დასაფლავებას, რომელიც მოხდება 21 მარტს.

✦ **ბოქაულების გაჩხრეკა.** ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით გაჩხრიკეს ტფ. ძველი ბოქაულები და მათი თანაშემწენი. ბევრს მათგანს დიდძალი სურსათ-სანოვაგე და მაგარი სასმელები აღმოაჩნდათ.

✦ **ძველი კანონი** საზღვარგარედ წასასვლელ პასპორტების შესახებ ჯერჯერობით ძალაში რჩება. აგრეთვე ძალაში რჩება კანონი უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომთა შესახებ.

✦ **ტფილისის ქართველ მასწავლებელთა ყრილობა** 19 მარტს საღამოს 8 საათზე შესდგა ტფილისელ ქართველ მასწავლებელთა კრება. დაესწრო ორასზე მეტი მასწავლებელი ყველა ტფილისელი არსებულ ტიპის და უწყების სასწავლებელთაგან. კრებამ იქონია მსჯელობა დღევანდელ მომენტის შესახებ და ერთხმად დაადგინა შემდეგი მისალოცი დეპეშით მიმართონ მინისტრ პრეზიდენტს თავად ლვოვს, სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკოს, სახალხო განათლების მინისტრს მანუილოვს და და მუშათა საბჭოს თავმჯდომარეს კარლო ჩხეიძეს. „საერთო აღტაცებით ვეგებებით თავისუფალ მთავრობას, ყველა რევოლიციონურ და პროგრესიულ პოლიტიკურ პარტიებს, რუსისმამაც მხედრობას, და მუშათა კლასს, რომელთა შეთანხმებულმა და გაერთიანებულმა მოქმედებამ მიანიჭა რუსეთს თავისუფლება. ტფილისში არსებულ ყოველ ტიპისა და უწყების ქართველ მასწავლებელთა კრებამ 19 მარტს გადასწყვიტა მთელის ძალღონით მხარი დაუჭიროს დროებით მთავრობას. ძველი სკოლის რეჟიმი, რომელიც საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ბოროტებას წარმოადგენდა, რომელიც წინ ელობებოდა და ხუთავდა მეციერების ავტორიტეტს, დამღუპველი იყო ყველა ეროვნებათა ძალთა განვითარებისათვის და განსაკუთრებით საქართველოსთვის, რომელიც 100-ზე მეტ წლის წინად თავის ნებით შეუერთდა რუსეთს ავტონომიურ ნიადაგზე. იმედი გვაქვს დღეიდან თავისუფალ რუსეთში, სადაც უკვე არსებობს ნაციონალურ თვითგაცნობიერების თავისუფლება დამფუძნებელ კრებაში მრავალ ტანჯულ საქართველოსაც შეეძლება ისეთი დაწესებულების დაწესებისა, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი სკოლის განვითარებას. ჩვენ ღრმადა გვწამს, როგორც სხვა საკუთარ ტერიტორიაზე დასახლებულ ერებს, ისე საქართველოსაც მიენიჭება ტერიტორიალური ავტონომია ჭეშმარიტ დემოკრატიულ საფუძველზე. ამის შემდეგ კრებამ დაადგინა დიდის უმრავლესობით „დაუყონებლივ დაარსდეს ქართველ მასწავლებელთა კავშირი, რომელმაც იქონიოს ურთიერთობა წარმომადგენლების სახით საერთო პედაგოგიურ კავშირთან“.

ამისთვის კრებამ აირჩია ბიურო რომელმაც უნდა შეიმუშაოს შესაფერი წესდება და ახლო მომავალში მოიწვიოს ქართველ მასწავლებელთა დამფუძნებელი კრება.

პრეზიდიუმი კრებისა შემდეგ პირთაგან შესდგებოდა: თავმჯდომარე დ. კარიჭაშვილი, ამხანაგი ვარლამ ბურჯანაძე და მდივანი დავით ბარკამე.

სოფლად და ქალაქად

გორი.

✦ გორშიც შესდგა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიაც შედიან წარმომადგენლები მუშათა დეპუტატების საბჭოსი, ქალაქის თვითმართველობისა და ჯარის-კაცთა და ოფიცერთა წარმომადგენელნი—თვითოეული ამ სამი ორგანიზაციიდან შვიდშვიდი წარმომადგენელი. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრნი არჩეულნი არიან, როგორც მუშათა დეპუტატების საბჭოდან, ისე ქალაქის თვითმართველობისაგან. შემდეგ კომიტეტში შედის თითო წარმომადგენელი მასწავლებელთაგან, კოოპერატიულ კავშირიდან და სომხებისაგან. აღმასრულებელი კომიტეტი შეუდგა თავის მოქმედებას. გამოსცვალა ადმინისტრატიული დაწესებულების პირნი, შეადგინა ქალაქის მილიცია და სხვა. გორის კომიტეტი შეიქმნა სამაზრო ცენტრად. მაზრის უფროსის გადაყენების შემდეგ მთელი გამგებლობა მაზრისა ამ კომიტეტის ხელში გადავიდა. კომიტეტმა გადასწყვიტა დატუსაღება ყოფილ მაზრის უფროსის ბოუჩიოვისა, რომლის მექრთამეობა და სპეკულიანტობა ყველასათვის აშკარა და ცხადი იყო. გადააყენა სამხედრო უფროსი კაპიტანი მატრასოვი და მაზრის ყველა ბოქაულები, მათ ადგილებზე ახლების დანიშვნას აპირებს.

კომიტეტის მეცადინეობაა დაიცვას მაზრაში მყუდროება, წესიერება და ამასთან შემოქმედებითი მუშაობა, გარდაქმნა ძველი წეს-წყობილებისა ახალზე. საყურადღებო არის კომიტეტის უმრავლესობის აზრი ეროვნული საკითხის შესახებ. როდესაც გორის კომიტეტმა მიიღო მოსაწვევი დეპეშა ტფილისის კომიტეტისაგან, დაისვა კითხვა დელეგატების არჩევისა მთავარი კითხვების გარკვევის შესახებ. ორ დღეს ითათბირა კომიტეტმა ეროვნული საკითხის შესახებ, ბოლოს კენჭის ყრამ ცხადჰყო, რომ ქართლის გული გვერდს ვერ აუხვევს ერის პოლიტიკურს მოთხოვნილებას, ერის უფლებას პოლიტიკურ ტერიტორიალური ავტონომიისას. კომიტეტის უმრავლესობამ აღიარა საქართველოს ავტონომია ქვაკუთხედად ერის კეთილდღეობისათვის და თავისუფალ განვითარებისათვის. დელეგატებად არჩეულ იქმნენ ს. მაჭავარიანი და გ. მაჩაბელი. მაზრაში სწარმოებს მუშაობა გორის კომიტეტის ხელმძღვანელობით—ადგილობრივ არსდებიან სარაიონო კომიტეტები.

ბრძოლის დაგვირგვინება

ჩვენი პარტიის ცხოვრება ბევრ რამეში მოგვაგონებს ჩვენი ერის ისტორიას. რამდენი დევნა, შევიწროვება, ცილისწამება, დაუმსახურებელი ბრალდება! ყველა ჩვენ გვემტრობდა და მხარს არავინ გვიჭერდა. ჩვენს სამშობლოში ჩვენ უცხონი და გარეშენი ვიყავით. საკუთარს მამებსა და ძმებს ვეუცხოვებოდით. სარდაფების კუნჭულებსა და ჯურღმულებში ვიკრიბებოდით

დით და იქ ვუზიარებდით ერთიმეორეს ჩვენი გულის ნადებს; გვდევნიდნენ არა მხოლოდ მტრები, არამედ ახლობლები, ჩვენიანები!

საქართველოს სახელი წაშლილი იყო, ქართველი ერის სახე ტალახში ამოსვრილი, ფეხით გათელილი; იმის ხელებსა და ფეხებს მძიმე ხუნდები ედვა და ენა-აკრულს, უსასოს სიკვდილის აჩრდილი დასტრიალებდა თავს. სხვებისგან განწირულს თავისიანებიც უდიერად ეპყრობოდნენ. საქართველოს ხსენება უდიდესი დანაშაული იყო; ქართველი ერის უფლებისთვის გამოსარჩლება სამარცხვინოდ მიაჩნდათ. ამ დროს ერთად ერთნი ჩვენ ვიყავით, რომ წმინდად ვიცავდით მშობელი ერის თავისუფლების იდეას და ჩვენის თავგანწირულობით და დაუღალავის შრომით ვაღვივებდით, ვავრცელებდით ხალხში ამის შეგნებას, ვუღვიძებდით რწმენას აღდგენისას და ვიწვევდით ბრძოლისთვის.

მაშინ ჩვენ თითო-ოროლა ვიყავით, მცირე რაზმი უმაგრებდა ზურგს მხოლოდ ჩვენს მოძღვრებას. მაგრამ დღეს ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკურ დროშას გარშემო ათი-ათასები არიან შემოკრებილნი. მაშინ ჩვენზე მოდიოდნენ იერიშებით და ლამობდნენ ჩვენი ეროვნული თვითშემეცნების დასამარებას, დღეს კი ჩვენ თვითონ მიგვაქვს იერიშები და დღითი დღე ვამარცხებთ მოწინააღმდეგეებს. მაშინ ბრძოლის ინიციატივა სხვების ხელში იყო, დღეს ჩვენს ხელშია. ის იდეა, იდეა საქართველოს ავტონომიისა, ქართველი ერის თვითარსებობისა, იმათ ბანაკშია შეჭრილი, ვინც მაშინ გაშმაგებით გვებრძოდა სამშობლოს ხსენებისათვის.

გამარჯვებაა. მაგრამ არა სრული. ჯერ კიდევ დიდი მედგარი ბრძოლაა საჭირო, რომ საქართველოს თავისუფლებისთვის ხმა ამოიღოს მთელმა ქართველმა ხალხმა განურჩევლად მიმართულებისა; ყველა განიმსჭვალოს ღრმა რწმენით, რომ ქართველი ხალხის ქონებრივ-კულტურულ წარმატებისთვის აუცილებელია ეროვნული თავისუფლება ავტონომიის სახით. დღევანდელ მომენტში განსაკუთრებული სიმხნევე და მუშაობა გვმართებს, რომ ჩვენი ამდენი ხნის ბრძოლა დაგვირგვინდეს სრულის გამარჯვებით—საქართველოს თავისუფლებით.

სოც.-ფედერალისტთა მიტინგი

კვირას, „ფიქრის გორაზე“ გაიმართა სოც.-ფედერალისტთა მიტინგი. მიტინგი მრავალრიცხოვანი იყო. თავმჯდომარეობდა ამხ. გიორგი ლასხიშვილი. ამხ.—თავმჯდომარემ პირველი სიტყვა წარმოსთქვა, მოუწოდა მიტინგს დაევიწყებინა პარტიული კინკლაობა და შურიანობა. ყოველი ღონე უნდა მივიღოთ, რუსეთის რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისათვის და მოვითხოვოთ საქართველოს პოლიტიკური ავტონომიაო. თავმჯდომარეს შემდეგ ილაპარაკა რუსეთის დროებით მთავრობის კავკასიის კომისარმა ამხ. კიტა აბაშიძემ. ხალხი აღფრთოვანებით მიეგება მას. იგიც მოითხოვდა დროებითი მთავრობის გაძლიერებასა და საქართველოს ავტონომიას. შემდეგ მრავალმა ორატორმა ილაპარაკა, აგრეთვე სოც.-ფედ. ქალთა, სოფლის კომიტეტის, მუშებისა და ქართულ სამხედრო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. ყველა ორატორი აღფრთოვანებით მიესალმა რუსეთის საერთო რევოლიუციას, დროებით მთავრობას. მოუწოდებდა ერს ხელი შეეწყო რუსეთის რევოლიუციის გამარჯვებისთვის, პარტიათა თანხმობისათვის და ერთა სრულ თანასწორობისათვის. ყველანი მოითხოვდნენ საქართველოს ავტონომიურად მოწყობას რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკაში. ხალხი ვაშასა და ტაშით ეგებებოდა მოლაპარაკეთ. ბოლოს მიტინგმა გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია.

„სოციალისტ-ფედერალისტთა მრავალრიცხოვანი მიტინგი გულითად სალამს უძღვნის დროებით მთავრობას, რუსეთის დემოკრატიას და რევოლიუციონურ ჯარს, რომელთაც დაამხეს ტახტი თვითმპყრობელობისა და აფრიალეს დროშა თავისუფლებისა და თანასწორობისა. ქართველი ხალხი მხნედ ამოუდგება გვერდში რუსეთს და თავგანწირულად იბრძოლებს რევოლიუციის სრულ გამარჯვებისა და ფედერატიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკის დასამყარებლად. მიტინგი დარწმუნებულია, რომ რევოლიუციის გასარგებლად და გასაძლიერებლად რევოლიუციონური მთავრობა თავის მოღვაწეობას საფუძვლად ერთა თავისუფლებას დაუდებს და მიანიჭებს რუსეთში მცხოვრებ ყველა ერს სრულს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას შინაურ საქმეებში. ქართველი ერი შეჰხარის ამ დიდებულ მომენტს და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის განხორციელება მიაჩნია თავის ეროვნულ ცხოვრების აუცილებელ პირობად. ეს ააყვავებს ქართულ კულტურას და ქართველ დემოკრატიას გაუხსნის თავისუფალ გზას სოციალურ ბრძოლის საწარმოებლად.

მიტინგი ძმურ სალამს მიუძღვნის რუსეთის ყველა ერს, რომელთა აღდგენა მოაახლოვა ძლევამოსილმა რევოლუციამ. უსურვებს მეზობელ კავკასიელ ერებს თავის პოლიტიკურ მისწრაფებათა შესრულებას და დარწმუნებულია, ჩვენი და მათი მომავალი მხოლოდ ერთობასა და შეთანხმებულ მოქმედებაშია.

გაუმარჯოს განთავისუფლებულ რევოლუციონურ რუსეთს და ავტონომიურ საქართველოს!

გაუმარჯოს რუსეთის ფედერატიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს კაცობრიობის უდიდეს იდეალს სოციალიზმს და ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხის ძმობას!“

მიტინგმა დაადგინა აგრეთვე, მისალმების დეპეშა გაუგზავნოს: განთავისუფლებულ ფილანდიას, პოლონეთს, უკრაინას, ეროვნულ-სოციალისტთა ბიუროს, ავადმყოფ ზდანოვიჩს, კერენსკის და სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას და „შრომის ჯგუფს“.

მიტინგის დასრულების შემდეგ ერთი ნაწილი გაემართა მანიფესტაციით, წითელი დროშებითა და სარევოლიუციო სიმღერებით ოლგინსკი ქუჩითა დ გოლოვინის პროსპექტით. გზა და გზა ორატორები სიტყვას ამბობდნენ. მანიფესტაცია შეჩერდა სასახლის წინ და მიესალმა კავკასიის კომისარიატს. სოც.-ფედერალისტთა მანიფესტაციას მისასალმებელ სიტყვით მიჰმართეს კომისარებმა დეპ. ჯაფაროვმა და ამხ. კიტა აბაშიძემ. ამის შემდეგ მანიფესტაცია დაიშალა.

ომი და რუსეთის ერები

პეტროგრადის სოც.-დემოკრატების (მენშევიკების) გაზეთ ,,რაბოჩაია გაზეტა“-ში დაბეჭდილია რეზოლიუცია უკრაინელების 1917 წ. 7 მარტის მიტინგისა.

ჩვენ უკრაინელები—სალდათები, მუშები და აფიცრები—შევიკრიბენით მიტინგზე, რომელიც მოწვეული იყო სოც.-დემოკრატიულ პარტიის მიერ, 1,500 კაცი, და დავადგინეთ მოვთხოვოთ მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს მიმართოს მებრძოლ და ნეიტრალურ სახელმწიფოთა მოწოდებით, რომ შეერთებულის ძალით იბრძოლონ ომის გათავებისათვის, რომელიც სასარგებლოა კაპიტალისტებისთვის და დამღუპველია მუშათა მასისთვის.

პეტრ. კომიტეტი უკრაინის სოც.-დემ. მუშათა პარტიისა.

რუსული პრესა

„რუსკაია ვოლია“ მე-№ 12 ნომერში ნიკო ნიკოლაძის წერილია შემდეგის სათაურით: „ავტონომიის საფრთხობელა“.

ძველებური შეხედულება ავტონომიაზე, თითქოს იგი სეპარატიზმს, დამორჩილებულ პატარა ერის დიდისაგან გამოთიშვას, სეპარაციას მოასწავებდეს—აზრსა ჰკარგავს მას შემდეგ რაც გამოირკვა რომ არა მარტო ისეთი პატარა სახელმწიფონი, როგორიც იყვნენ სერბია, ჩერნოგორია და ბელგია ვერ იარსებებენ ცალ-ცალკე, არამედ თვით ბუმბერაზი ავსტრია და გერმანია უნდა შეკავშირებულიყვნენ ფედერატიულად. დღეს ყველა საკუთარის თვალით ჰხედავს დიდ ხელმწიფებათა შეკავშირებას ისტორიულ პროცესში. ისინი გამოიწვია, შეჰქმნა და შეაკავშირა ისტორიულმა აუცილებლობამ და, როცა პოლონელები, ქართველები, სომხები ავტონომიას მოითხოვენ, ამ გზით მათ რუსეთის სახელმწიფოდან გამოთიშვა როდი უნდათ, არა, ამნაირად დაჩაგრულ ერებს სწადიათ ძალ-დატანებული დაქორწინება გულებისა და ინტერესების ჰარმონიულ შეკავშირებად აქციონ“.

ნ. ნიკოლაძის წერილს ჩვენ უნდა შევნიშნოთ: ასე ძლიერია ისტორიული ჭეშმარიტება, იგი ხშირად გონივრულად მოაზროვნეთაგან სკეპტიკურ მოპყრობას შეეხლება, მაგრამ ბოლოს მაინც თავის გზას გაიკვლევს.

მოიგონეთ, მკითხველო, ნ. ნიკოლაძის რეპლიკები ქართველ სოც.-ფედერალისტების წინააღმდეგ მიმართული*) და აშკარად დაინახავთ, თუ რა მაგიური ძალა ჰქონია იმ ჭეშმარიტებას, რომელიც აგერ 15 წელია რაც ჩვენი მიმართულების დროშის მოტოს შეადგენს.

ჩემი ნატვრა

მოწაფეობის დროს ისეთ რეჟიმის მომსწრე გახლავართ, რომ უდიდეს ნატვრად მიმაჩნდა—„ნეტა ჩვენ გაზეთების ფურცლებზე წამაკითხა სიტყვა რევოლიუცია და თუნდა მომკლა მეთქი“.

ბედნიერება მქონდა მოვსწრებიყავ არამც თუ ქართულ გაზეთების წაკითხვას, რაც სასწავლებლიდან დათხოვნით იწყებოდა, არამედ ორ დიდ რევოლიუციასაც, რომელთაგანაც დღევანდელი, უკანასკნელი ხალხის ასეთ დიად უფლებების მოპოვებით დამთავრდა.

დიდება და საუკუნე სახელი იმ მებრძოლთ, რომელთაც თავი არ დაიზოგეს და თავი შესწირეს ამ გამარჯვებას. დიდება და სახელი იმ მოღვაწეთ, რომელთაც სიტყვით, წერით თუ მოქმედებით ხელი შეუწყეს და თავიანთი შეუპოვრობით შეანგრიეს სიმაგრენნი ბნელეთისანნი და ჩვენი ტურფა ნესტანდარეჯანი, ეს სიმბოლო თავისუფლების, მზეზე გამოუშვეს, ყველა დუხჭირის და დაბეჩავებულთა სახილველად...

მაგრამ განა ყველა ღირსეულად დააფასებს ამ ბედნიერებას, განა ყველანნი გვყავნან მომზადებულნი იმდენად, რომ თავისუფლების მზემ თვალი არ მოსჭრას და ყველაფერი სწორედ დაანახოს?!..

საუბედუროთ, არა!

გლეხნი, ეს ჩვენი დიდი საზრუნავი და სანუკვარი პირნი, პირველად მოიმკიან იმ ძირ-წარეს, რაიც შედეგი იქნება გაუგებრობისა. ამიტომ მოვალენნი ვართ, ვიდრე ბნელი ძალები მახეს დაუგებდნენ ხალხის ბედნიერებას, მივაშუროთ სოფელს, ავუხსნათ და მივეშველოთ... მივეშველოთ მათ გაჭირვებას, როგორც გონებრივს, ისე ქონებრივს. ვინც მომავალ სიმშილის აჩრდილს მოაწილებს სოფლის მუშათ, ის იქნება ნამდვილი მოციქული, ნამდვილი მხსნელი ერისა... ის იქნება გადამრჩენი ხალხის ჩვილთა და ყრმათა, რომელთათვის უაღრესად არის სასარგებლო და შესაფერისი მოპოვებული თავისუფლება...

ჩვენ, ხნიერთ, ჩვენი კალო გაგვილეწნია. ჩვენ, ხნიერთ და დაბა-ქალაქების მცხოვრებთ, ცოტა რამ უკვე გვიგემნია იმ თავისუფლებისა და სიხათლისა, რომელსაც სოფლის მოხოვრები დღეს შეჰხვდება პირის-პირ...

დღეს, როდესაც სოფელი შავი ძაძებით არის შემოსილი, დღეს, როდესაც ბევრმა მათგანმა არ იცის რა უფრო უკეთესია—გაჯახირებული სიცოცხლე, თუ მომასვენებელი სიკვდილი!..

ჩვენ ვართ მოვალენი მივაშუროთ სოფელს, შევუმხიარულოთ შავი ძაძები, იმედი ჩავუსახოთ გულში, ვუთხრათ, რომ ნუღარ სტირის იგი: მისმა მსხვერპლმა დიდი შედეგები მოიტანა და უფლებაც და დროც არის მოილხინოს და პატიოსან მუშაობას მოჰკიდოს ხელი დიდმა თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა, მოხუცმა თუ ჯეელმა... გავაგებინოთ, რომ დღეიგან მას აღარ წაერთმევა უსამართლოდ ლუკმა პური, დღეიდან იგია ბატონ-პატრონი მიწა-წყლისა და, თუ მეომართ შინაურებზე ზრუნვას არ მოვაკლით და თავდადებულთ სულის სიმშვიდეს არ მოვუპოვებთ ჩვენის ერთგულის, ერთსულოვან მუშაობით მოპოვებულ ბედნიერების დასამყარებლად მთელ საქართველოს მიდამოში, მაშინ შინ დარჩენილნი ვღალატობთ მებრძოლთ, მაშინ შინ დარჩენილნი მეორედ ვაწამებთ წამებულ გმირებს და უფრო სავალალო ძაძით ვმოსავთ მათ დაობლებულ ოჯახებს...

გაუმარჯოს სოფლელთ, გაუმარჯოს მათ ჭირისუფალთ და ყოვლგვარ გაჭირვებიდან დამხსნელთ!

ლ. ცაგარელი.

---

*) „ჩემი პოლიტიკა“ ნიკო ნიკოლაძისა.

მუშების გამარჯვება

პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოსა და მეფაბრიკეთა დ მექარხნეთა საზოგადოების შეთანხმებით პეტროგრადში ყველგან შემოიღეს 8 საათის სამუშაო დღე, დააწესეს საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტები და მომრიგებელი კავშირები.

ყველა ქარხანასა და ფაბრიკაში მუშაობა იქნება 8 საათის განმავლობაში (8 საათი ნამდვილი მუშაობისა). კვირა დღეების წინ მუშაობა გაგრძელდება 7 საათს. სამუშაო დროის შემცირებამ არ უნდა იმოქმედოს ქირის რაოდენობაზე. ზედმეტი მუშაობა შეიძლება მხოლოდ საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების თანხმობით.

ყველა ქარხანასა და ფაბრიკაში უნდა შესდგეს საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტი (მამასახლისთა საბჭო), რომელიც უნდა აირჩიონ წარმოების მუშებმა საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორისა და ფარულის კენჭის ყრით. კომიტეტის დანიშნულებაა—იქონიოს დამოკიდებულობა წარმოების მუშების სახელით მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან; აზრის შემუშავება მუშების ეკონომიური ცხოვრების შესახებ; გადაწყვეტა მუშების ურთიერთობის საკითხისა; მოწესრიგება დამოკიდებულობისა ქარხანა-ფაბრიკის ადმინისტრაციასა და მუშებს შორის.

მომრიგებელი კამერები უნდა მოეწყოს ყოველს ქარხანასა და ფაბრიკაში იმ უთანხმოების მოსასპობად, რომელიც შეიძლება მოხდეს მუშებსა და მექარხნეთა შორის. კამერაში თანაბარი წარმომადგენელი ეყოლებათ მუშებსა და ქარხანა-ფაბრიკის ადმინისტრაციას. თუ კამერამ ვერ მოარიგა მუშები და ადმინისტრაცია, საქმე გაირჩევა ცენტრალურს კამერაში, სადაც თანასწორი იქნებიან წევრები მუშათა დეპუტატების საბჭოსა და მექარხნე-მეფაბრიკეთა საზოგადოებისაგან.

ჩვენი ფონდისთვის

მივიღეთ ექ. ივ. თიკანიძისაგან 50 მან., ანნა და ივ. ზედგინიძისაგან 50 მან., ალ. ყიფიანისაგან 40 მან.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

			ს. წ.	
ტფილისიდან გადის:				
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9 20	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.49	დღ.
„	საფ.	№ 4,	9,23	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-ა,	11.15	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8.28	დილ.
ხაშურის სამგზ.		№ 5,	9.10	დილ.
ტფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	8 37	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ხაშურიდან სამგზ.	.	.	6.34	საღ.
თელავიდან	.	. № 3,	6.24	საღ.

დუქანი

იძლევა ქირით დუქანი, მე-9 ავლაბრის ფერმა, სახლი ნასიბოვისა, 218 სათადარიგო პოლკთან ახლო. ამღებს შეუძლია ივაჭროს დღეში 80—100 მ., თუ ყველაფერ საქონელს იქონიებს, მორიგება შეიძლება არენდატორ ს. გიორგობიანთან იქვე. 351

ექიმი
ვ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებს საღამის 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 5—77. 1059

ექიმი ქალი
ს. ზ. მირზოევი,

უფროსი ორდინატორი ტფილისის თვალთა საავადმყოფოსი, იღებს $1^1/_2$—$3^1/_2$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელეფ. 16—67.

ექიმი
ნარიმანოვი

ვენერიულ, კანის, თმაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. $5^1/_2$ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 38. ტელ. 16—17. 457

ექიმი
თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათ. მისამართი კიროჩნის ქ. 18. ტელეფ. 11-82 216

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი

იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 8

ექიმი-[illegible]
ნინო რ[illegible]

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 [illegible] და საღ. 5—7 საათ. [illegible] ქუჩის [illegible] 31.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“

ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის ავადმყ.).
ბ. გ. აგახაროვი: $9^1/_2$—3 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ბაბაიანი: 6—7 ს. ქალთა ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ა. ნავასარდიანი.

ექიმმა
ფავლენიშვილმა

განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მუხრანის და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31. 151

ექიმი
მ. დ. წინამძღვარიშვილი

ყოფილი ორდინატორი თერაპევტიულ კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. გულისა, ფილტვისა და ხახხლის სნეულ. სპეციალურად. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 36, მეორე სართული. 1059

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე

იღებს სამშობიარო საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7.

საექიმო კაბინეტი ექიმ
კ. ს. ფონ-ირტელის

სპეციალისტი ქირურ., საშარდე-სასქესო, სიფილისის, ვენერიული და კანის (გასავება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმლების ავადმყ.), წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914“ და „606“ და ელექტრონით. [illegible] სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესახ. კირილ. ქ. 1, მეორე კარი. 1352

ექიმი
კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. [illegible] ქუჩა № 4. [illegible] გვერდით ტელეფ. 15—00. 1008

ქუთაისში
ექიმი
მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9—1 ს., საღამოს 5—8 ს. ტფილისის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. 1051

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ექიმი
შ. ა. მიქელაძე

მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 171.

ექიმი
ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა. [illegible] სომხ[illegible] სახლი. [illegible] გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1064

ქარებს (რევმატიზმის).
ნეკრისის
თირკმელების (ჭაჭების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „უროდონალ“, და მაზი წასასმელი „ატრო“ სრულიად უვნებელია და მოქმედობს ძლიერ კარგად. ფასი „ურდონალისა“ ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანათი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფალაკონი „ურდონალი“ და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო“. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ.

დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებას.

ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16. განყ. 1—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.

Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская № 16 отд. 1—9. противъ Государственнаго Банка.

სუსუნატით (ჭინჭრიკა)
ავადმყოფებს

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „რეზუროლინი“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ.

რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება

იმიტომ რომ

ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,

მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს საშუალება „რეზუროლინი“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ

რეზუროლინი

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლათ მოსარჩენათ ახალი ავადმყოფობისა ღირს 21 მანეთი, დაძველებულისა 35 მან. 50 კ. სხვა ქვეყნებში გაიგზავნება 5 მანეთის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16, ნაწ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.**

За заказами и **справками** обратиться въ **Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорис-Меликовская** № 16 отд—1—1. на противъ Государственнаго Банка.

სტამბა „შრომა“ [illegible] ლორის-მელიქოვის [illegible]